განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

# ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ა(ა)ი.პ ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“**

**ა(ა)ი.პ ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების” სოფელ ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბაღი**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

**თავმჯდომარე:**

ხარისხის ექსპერტი: მაკა ტუკვაძე

**წევრები:**

კურიკულუმის ექსპერტი: ხათუნა წერეთელი

კვების დარგში ექსპერტი: მარინე ზაზაშვილი

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: მანანა ჭიჭინაძე

# ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| 1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
|---|---|
| სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| საფირმო სახელწოდება | ა(ა)ი.პ ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“ |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 232388421 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება *(არსებობის შემთხვევაში)* | ა(ა)ი.პ ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებ“-ის სოფელ ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბაღი |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე | N.N.L.E ,,KINDERGARDEN UNION OF TIANETI MUNICIPALITY” |

| | |
|---|---|
| *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| სექტორი | **საჯარო** |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | **სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება** |
| **2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ** | |
| იურიდიული მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | **თიანეთის მუნიციპალიტეტი , დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. 67** |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | **თიანეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ჟებოტა** |
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი *(არსებობის შემთხვევაში)* | ---------------- |
| **3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |
| ✓ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒ | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐ |
| **4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ** | |
| ვიზიტის საფუძველი<br>*(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)* | სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება- MES 3 25 0000578740 27/05/2025 |
| ვიზიტის პერიოდი<br>*(თარიღი)* | 19 და 20 ივნისი |
| **5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ** (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე) | |
| **წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების** | **ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა** |

| ადგილების ზღვრული რაოდენობა | |
|---|---|
| --------------------------------------------------------------------- | ------------------------------------------ |

| 6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს. | | | | | |
| **N** | **პროგრამის სახე**[1] | **კურიკულუმ(ებ)ის დასახელება** | **პროგრამის განხორციელების ენა** | **პროგრამის განხორციელების მიდგომა** *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)* | **თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა** |
| 1 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | 1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თ ა მ ა შ ი“ 2-5 წლამდე და შერეული ჯგუფებისათვის.<br>2.სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში აქტივობათა კრებული | ქართული ენა | | **45**<br>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒<br>არ ეთანხმება ☐ |

[1] აისახოს მხოლოდის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

2025 წლის 19 და 20 ივნისს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება-MES 3 25 0000578740 -ის საფუძველზე, ა(ა)იპ ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებ"-ის სოფელ ჟებოტაის საბავშვო ბაღში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:
1.მაკა ტუკვაძე-ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე)

2.ხათუნა წერეთელი-კურიკულუმის ექსპერტი:

3. მარინე ზაზაშვილი-კვების დარგში ექსპერტი:

4. მანანა ჭიჭინაძე-სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი
ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და გადმოგზავნილ დოკუმენტაციას, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი მასალები. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ვიზიტის ფარგლებშიც ექსპერტებმა საკუთარი მიმართულებების მიხედვით იმუშავეს დასკვნის მომზადებისთვის საჭირო ინფორმაციის შესაგროვებლად. კერძოდ, ხარისხის ექსპერტმა შეისწავლა/დაათვალიერა ბაღის ინფრასტრუქტურა და სტანდარტის შესაბამისობის კითხვარის საშუალებით (დანართი 4.3) შეაგროვა ინფორმაცია მატერიალური რესურსის დადგენილ ნორმასთან შესაბამისობის შესახებ. ასევე, შეისწავლა პერსონალთა პირადი საქმეები. მისია, ხედვა ღირებულებებისა და სტრატეგიული/წლიური დაგეგმვის საკითხების დაზუსტების მიზნით გაესაუბრა დაწესებულების მმართველ გუნდს. სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესები, საქმისწარმოების, ფინანსური, ემოციური და ფიზიკური უსაფრთხოების საკითხები დაზუსტა ბაღის ხელმძღვანელთან, საქმისმწარმოებელთან, ბუღალტერთან, მედდასთან, მნესთან და აღმზრდელებთან. კურიკულუმის მიმართულების ექსპერტმა, შეისწვლა/დაათვალიერა ჯგუფური ოთახები. ჩაატარა მიზნობრივი გასაუბრებები: დაწესებულების მეთოდისტთან, ბაღის აღმზრდელთან, აღმზრდელის თანაშემწესთან, ფსიქოლოგთან და მუსიკის მასწავლებელთან. კვებისა და სანიტარია-ჰიგიენის მიმართულების ექსპერტებმა სტანდარტის შესაბამისობის კითხვარების დახმარებით (დანართების 4.4. და 4.5) მოიკვლიეს და მოაგროვეს ინფორმაცია თუ, რამდენად დაცულია ბაღში სანიტარია-ჰიგიენის ნორმები, კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი. გაესაუბრნენ ბაღის მენეჯერს, ექიმ-დიეტოლოგს, მედდას და ბუღალტერს. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტი. მიმართულებები მიხედვით დაწესებულებას მიეწოდა ინფორმაცია ვიზიტის მიგნებების შესახებ.

## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

ბაღის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს ბაღის ხელმძღვანელის და მასწავლებლების განსაკუთრებული მონდომება მეორადი საგანმანათლებლო რესურსების შექმნასა და მოძიებაში. ასევე, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ცენტრებში სხვადასხვა თანამედროვე თუ ძველ ნივთებთან ერთად საპატიო ადგილს იკავებს ძველი ტრადიციული ქართულ ნივთებიც (მაგალითად, აკვანი), რომლებიც ბავშვებს აცნობს და აახლოებს ქართულ ტრადიციებთან. შექმნილი მრავალფეროვანი ცენტრები ხელს უწყობს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას.

## 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

# ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| სტანდარტი/კომპონენტი | დაწესებულების თვითშეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.1. დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2]<br>სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა<br>1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თ ა მ ა შ ი“ 2-5 წლამდე და შერეული ჯგუფებისათვის.<br>2.სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში აქტივობათა კრებული | | |
|---|---|---|
| **2. კურიკულუმი** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **3. ოჯახისა და თემის ჩართულობა** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| **4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.3. მატერიალური რესურსი | ☐ შეესაბამება | ☐ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| | ☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.7.ფინანსური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია
1.2. სტრატეგიული განვითარება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
4.2. პროცესების მართვა
4.3. მატერიალური რესურსი
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
4.7. ფინანსური რესურსი

# 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

## 1.1. დაწესებულების მისია

### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)ი.პ ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების" სოფელ ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბაღმა (შემდგომში ბაღი) სტრატეგიული გეგმით წარმოადგინა მისია, რომლის შინაარსი ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს. დაწესებულების მისია ჟღერს შემდეგნაირად:

- ✓ მუნიციპალიტეტში მდგრადი და ეფექტიანი სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისთვის საცხოვრებელი ადგილისა და შესაძლებლობის შეზღუდვის მიუხედავად
- ✓ ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" კანონის და სახელმწიფო სტანდარტების დაცვით სკოლამდელი განათლების ხარისხისა და რელევანტურობის, თანასწორობის, ინკლუზიის სისტემის გაუმჯობესების და მუდმივი განვითარების მხარდაჭერა
- ✓ თანამშრომელთათვის უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შეთავაზება
- ✓ აღსაზრდელის ჰოლისტური განვითარების და მისი სასკოლო მზაობის უზრუნველყოფა
- ✓ შშმ ბავშვებისთვის შესაბამისი გარემო-პირობების შექმნისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა
- ✓ ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება
- ✓ ეფექტიანი, მდგრადი და ბავშვის ინტერესებზე ორიენტირებული მონიტორინგის სისტემის შექმნა და დანერგვა

შემუშავებული მისიით, დაწესებულება იღებს ვალდებულებას, მუნიციპალიტეტში შექმნას ისეთი მდგრადი და ეფექტიანი სკოლამდელი განათლების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლების მიღების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისათვის, საცხოვრებელი ადგილისა და შესაძლებლობის შეზღუდვის მიუხედავად, აღსაზრდელის ჰოლისტურ განვითარებას და მის სასკოლო მზაობას, ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დაწესებულების მისიაში გვხვდება ჩანაწერები (,,თანამშრომელთათვის უწყეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შეთავაზება", ,, ეფექტიანი, მდგრადი და ბავშვის ინტერესებზე ორიენტირბული მონიტორინგის სისტემის შექმნა და დანერგვა", ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" კანონის და სახელმწიფო სტანდარტების დაცვით სკოლამდელი განათლების ხარისხისა და რელევანტურობის, თანასწორობის,

ინკლუზიური სისტემის გაუმჯობესების და მუდმივი განვითარების მხარდაჭერა“), რომლებიც მისიის შესრულებისთვის განსაზღვრულ მიზნებს/ამოცანებს/აქტივობებს უფრო ჰგავს, ვიდრე მისიის არსებით მახასიათებლებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

....................................................................................................................................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია მისიის უკეთ ფორმულირებისთვის დაწესებულებამ გაითვალისწინოს რამდენიმე საკითხი. მისია უნდა იყოს მოკლე, ასახავდეს დაწესებულების ფუნდამენტურ დანიშნულებას, გამოხატავდეს, თუ რისთვის არის დაწესებულება შექმნილი და ხელს უწყობდეს დაწესებულების იდენტობის ფორმირებას. დაწესებულებამ მისიად სასურველია გამოიყენოს არსებული მისიის მხოლოდ პირველი პუნქტი - გამომდინარე იქიდან, რომ ყველა სხვა დანარჩენი გამომიდნარეობს პირველი პუნქტიდან და ემსახურება მის მიღწევას, მიზანშეწონილია დაწესებულებამ აღნიშნული საკითხები განსაზღვროს, როგორც მიზნები/ამოცანები/ აქტივობები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

....................................................................................................................................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)ი.პ ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“ სოფელ ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბაღმა მისიასთან ერთად წარმოადგინა ხედვა და ღირებულებები. დაწესებულების ხედვით განსაზღვრულია, რომ თიანეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში გარემო უნდა იყოს მდგრადი, მუდმივ განვითარებასა და წინსვლაზე ორიენტირებული, სტანდარტების მოთხოვნათა და გამოწვევების შესაბაისად, რაც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდა და განათლება თანაბრად ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის; საბავშვო ბაღებში აღსაზრდელები ჯანსაღ ფსიქოლოგიურ გარემოში იღებენ სკოლამდელი აღზრდის მომსახურეობას; საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას გათვალისწინებულია თითოეული ბავშვის ინტერესები და საჭიროებები;

ყველა გადაწყვეტილება და ქმედება ეფუძნება და ითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს; დაწესებულება ზრუნავს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე; დაწესებულებაში დასაქმებული აღმზრდელების განათლება და კვალიფიკაცია არის მაღალი ხარისხის.
დაწესებულების ღირებულებაა:

- ✓ აღსაზრდელის საუკეთესო ინტერესებით ხელმძღვანელობა
- ✓ განვითარება-საკუთარი საქმიანობის მუდმივი შეფასებითა და შემდგომი გაუმჯობესებით
- ✓ პროფესიონალიზმი-თანამშრომელთა კვალიფიციურობა, გუნდურობა, ეფექტურობა, აღსაზღდელზე ორიენტირებულობა
- ✓ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერება და საბავშო ბაღის ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ზრდა

დაწესებულების ხედვისა და ღირებულების შესწავლის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ხედვა, მისიაზე დაყრდნობითა არის შემუშავებული, აღწერს დაწესებულებაში არსებულ სიტუაციას და ძირითადად იმეორებს მისიის შინაარს. სასურველია ხედვაში მკაფიოდ გამოჩნდეს მისიის მიღწევის გზები. რაც შეეხება ღირებულებებს, აღსაზრდელის საუკეთესო ინტერესებით ხელმძღვანელობა, პროფესიონალიზმი და განვითარება, გვაწვდის ინფორმაცია დაწესებულების ორგანიზაციული კულტურის შესახებ, რომელიც დაწესებულებას დაეხმარება მისიის მიღწევაში.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

## რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## რჩევა

სასურველია დაწესებულებამ ხედვა და ღირებულებები ჩამოაყალიბოს ისე რომ გაითვალისწინოს იერარქიული მიმართებები მისიას, ხედვას, ღირებულებებს, სტრატეგიულ მიზანსა და მიზნის შესაბამის ამოცანებს შორის. ხედვის უკეთ ფორმულირებისთვის და სიცხადის შეტანისთვის, უმჯობესია დაწესებულებამ გაითვალისწინოს შემდეგი: ხედვა უნდა იყოს მოკლე განაცხადი, თუ როგორ ხედავს დაწესებულება საკუთარ თავს დროის განსაზღვრულ პერიოდში, ხედვა უნდა იყოს 2-3 წინადადებით ფორმულირებული და მარტივად გასაგები, რომელიც ასახვას დაწესებულების იდეალური სამომავლო შედეგს და არა მოკლე ვადაში მისაღწევი მიზანს. რაც შეეხება ღირებულებებს, დაწესებულებამ ღირებულებები უნდა ჩამოაყალიბოს შემდეგი მაგალითების მიხედვით: თანამშრომლობა, გუნდურობა, ღიაობა, ბავშვზე ორიენტირებულობა, სამართლიანობა, გამჭვირვალობა და ა.შ.

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

### 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მეთოდოლოგიურ დოკუმენტში, ა.(ა).ი.პ.,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების“ გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 17 ოქტომბრის N 226 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი“, აღწერილია მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესი, რაც გულისხმობს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. კერძოდ, პროცესი იწყება სამუშაო ჯგუფის შექმნით. განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეთა ჩამონათვალი.

,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი“-ს შესაბამისად ა(ა)ი.პ ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“ სოფელ ჟებოტას საბავშვო ბაგა-ბაღმა წარმოადგინა ა.(ა).ი.პ.,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების“ გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 12 სექტემბრის N164/1 ბრძანება, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. სამუშაო ჯგუფის წევრები არიან: ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის მოადგილე, გაერთიანების მეთოდისტი და ბაღების ხელმძღვანელები. სამუშაო ჯგუფის წევრების ჩართულობა მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების პროცესში დასტურდება სამუშაო ჯგუფის N1 და N2 სხდომის ოქმებით. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სამუშაო ჯგუფი შექმნილია უფრო ადრე, ვიდრე მეთოდოლოგიური დოკუმენტი. ასევე, მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის წევრებიდან, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი დამშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/საკონსულტაციო საბჭოს წევრი, არ წარმოადგენენ გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 12 სექტემბრის N164/1 ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის წევრებს. რამდენადაც დაწესებულება პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამ ეტაპზე მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/საკონსულტაციო საბჭოს წევრი ვერ იქნება ჩართული პროცესში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც განმსაზღვავს დაინტერესებულ პირებს და მათ ჩართულობას პროცესში. მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვას სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას, შექმნილია მისია, ხედვა, ღირებულებების შექმნის პროცესის დაწყების შემდეგ და ამ ეტაპზე ვერ იქნება სამუშაო ჯგუფის წევრების განმსაზღველი დოკუმენტი. ვინაიდან დაწესებულებაში მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებაში ჩართული იყვნენ დაინტერესებული მხარეები და წარმდგენილია შესაბამისი მტკიცებულებები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

### 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.(ა).ი.პ. ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების“ გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 17 ოქტომბრის N 226 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესში“ აღწერილია მისია, ხედვა და ღირებულებების გაზიარებისა და საჯაროობის მექანიზმები. მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ საჯარო შეხვედრების საშუალებით ხდებოდა მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებული პროექტის გაზიარება და უკუკავშირის მიღება, რაც ასახულია სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმებში. მისიის, ხედვის, ღირებულებების საჯაროობა დასტურდება ბაღის შენობის ვიზუალური დათვალიერებით, სადაც თვალსაჩინო ადგილზე, საინფორმაციო დაფაზე განთავსებულია დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 07.11.2024 წლის N237 ბრძანებით დამტკიცებული – 2024–2029 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
2. ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 17.10.2024 წლის N226 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორიგისა და შეფასების წესი“
3. ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების  გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 12 სექტემბრის N164/1 ბრძანება, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
4. მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის  N1 და N 2 ოქმები
5. ინტერვიუს შედეგები

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.1. დაწესებულების მისია** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

## 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

**1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 17 ოქტომბრის N226 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი" წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიურ დოკუმენტს და განსაზღვრავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. ასევე, გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დაგეგმვის პროცესში. დოკუმენტი ადგენს მონიტორინგის და შეფასების პროცესის არსს, პროცესის განხორციელების პერიოდულობას: სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში- ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2,5 წელს) და ბოლოს, (დასრულებამდე არაუგვიანეს 6 თვისა), ხოლო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხდება კვარტალურად, შეფასება კი წლიურად. ასევე განსაზღვრავს პროცესის განმახორციელებლებს- სამუშაო ჯგუფის სახით, პროცესის შედეგების დოკუმენტირების ფორმას-ანგარიშების წარდგენით და საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმებს. მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-4 მუხლი განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართული დაინტერესებული პირების ჩამონათვალს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

## 2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 07.11.2024 წლის N237 ბრძანებით დამტკიცებული 2024–2029 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც ეფუძნება დაწესებულების სიტუაციურ ანალიზს. სტრატეგიული განვითარების გეგმით დეკლარირებულია დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები. ხუთწლიანი გეგმა მოიცავს ხუთი

სტრატეგიული მიზანს, მიზნების შესაბამის ამოცანებს, ინდიკატორებს და ღონისძიებებს. რამდენადაც მონიტორინგის და შეფასების შედეგების საფუძველზე დაწესებულება უზრუნველყოფს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ სტრატეგიული გეგმის განახლებას, აღნიშნული მიუთითებს დაგეგმვის პროცესის ციკლურობაზე. რაც შეეხება სტრატეგიული მიზნების შესაბამისობას დაწესებულების მისია, ხედვასა და ღირებულებებთან, მიზნების შინაარსი პასუხობს დაწესებულების მისიას, ხედვას და ღირებულებებს.

სტრატეგიულ გეგმაში ინფრასტრუქტურული პროექტები ცალკე ცხრილი სახითა არის გატანილი, რომლებიც სტარტეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში, 2024-2028 წლებში უნდა შესრულდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული გეგმაში შეიმჩნება რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი, რაც დაზუსტდა გასაუბრების დროს. კერძოდ, ცხრილის სახით წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმას აწერია 2023-2027 წლების სტრატეგია. ასევე, სტრატეგიულ გეგმაში აღნიშნულია მე-6 მუხლი, თავისი ამოცანებით, ინდიკატორებითა და ღონისძიებებით, თუმცა სტრატეგიული მიზანი არ არის გაწერილი. ინტერვიუთი დადასტურდა, რომ დაწესებულებას მხოლოდ 5 სტრატეგიული მიზანი აქვს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულების სტრატეგიული გეგმა არის ხუთწლიანი, ციკლური, სტრატეგიული მიზნების შინაარსი პასუხობს დაწესებულების მიერ დეკლარირებულ მისიას, ხედვას, ღირებულებებს და მოიცავს სტრატეგიული მიზნების შესაბამის ამოცანებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირებისას ყურადღება გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები უნდა იყოს: გაზომვადი, მოქმედებაზე ორიენტირებული, რეალისტური და დროში გაწერილი. ასევე, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმაში ტექნიკური ხარვეზების გასწორება. კერძოდ, გასწორდეს ცხრილის სახით წარმოდგენილი სტრატეგიულ გეგმის წლები და სტრატეგიული მიზნების რაოდენობა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

## 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 01.10.2024 წლის N210/1 ბრძანებით დამტკიცებული –ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაგა–ბაღების 2024–2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ერთწლიანია და ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი“-ს შესაბამისად მორგებული სასწავლო წელზე. აღნიშნული წესი ასევე განმარტავს, რომ ,,ბაღების გაერთიანებაში შემავალი ბაღების /ფილიალისთვის მუშავდება ერთი სამოქმედო გეგმა, სადაც თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია ის კონკრეტული ბაღი, რომლისთვისაც რელევანტური იქნება კონკრეტული აქტივობის შესრულება. თუმცა, წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში არ იკითხება სოფელ ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბაღისთვის რა კონკრეტული აქტივობებია განსაზღვრული. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კონკრეტული ბაღი ადგენს წლიური გეგმას, სადაც ასახულია კონკრეტულ ბაღში განსახორციელებელი აქტივობები, თუმცა ბაღის მიერ დასახელებული წლიური გეგმა აღმზრდელის წლიური გეგმაა და აქტივობები მხოლოდ კურიკულუმის მიზნებს მიემართება.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ სამოქმედო გეგმა დამტკიცდა (01.10.2024) სტრატეგიული გეგმაზე ადრე (07.11.2024), რაც იმის მანიშნებელია, რომ სამოქმედო გეგმა არ ეფუძნება სტრატეგიული გეგმას. რაც შეეხება ყოველწლიურ თვითშეფასებას, რამდენადაც დაწესებულება პირველად ავტორიზაციის რეჟიმშია წინა წლის თვითშეფასება ვერ ექნება წარმოდგენილი. თუმცა, მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული გეგმიდან და გაერთიანების ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე იქმნება სამოქმედო გეგმა, რაც გამოხატავს მზაობას ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დაწესებულებამ მოამზადოს თვითშეფასება.

**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია:

დაწესებულებამ სამოქმედო გეგმა შეიმუშაოს ისე , რომ იგი ეფუძნებოდეს სტრატეგიულ გეგმას.

რჩევა

......................................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (1. მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული გეგმის შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება; 2. სამოქმედო გეგმის დამტკიცება); პასუხისმგებელი პირი//სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; გაერთიანების საქმეთამმართველი; ბაღის ხელმძღვანელები;**

**დაინტერესებული მხარეები) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინა ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაგა–ბაღების 2024–2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, სადაც არ ჩანს სოფელ ჟებოტის ბაგა-ბაღისთვის რა კონკრეტული აქტივობებია განსაზღვრული. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ სამოქმედო გეგმა შეიმუშაოს ისე, რომ მასში ჩანდეს სოფელ ჟებოტას საბავშვო ბაგა-ბაღისთვის კონკრეტული აქტივობები, რომლებიც იქნება დროში განსაზღვრული, რეალისტური და შესრულებადი. შესრულების ინდიკატორებმა უნდა უზრუნველყონ დაგეგმილი აქტივობის განხორციელების სასურველი შედეგის ასახვა. მიეთითოს კონკრეტულ აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (სამოქმედო გეგმის ისეთი სტრუქტურით შემუშავება, რომელშიც აისახება სოფელ ჟებოტას საბავშვო ბაგა-ბაღისთვის კონკრეტული აქტივობები, რომლებიც იქნება დროში განსაზღვრული, რეალისტური და შესრულებადი. შესრულების ინდიკატორებმა უნდა უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობის განხორციელების**

**სასურველი შედეგის ასახვა. მიეთითოს კონკრეტულ აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია), პასუხისმგებელი პირი//სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; გაერთიანების საქმეთამმართველი; ბაღის ხელმძღვანელები; დაინტერესებული მხარეები) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით**

## 5.მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 17 ოქტომბრის N226 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი“, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს. დაწესებულებამ სტრატეგიული განვითარების გეგმა 2024 წლის ნოემბერში დაამტკიცა. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია მონიტორინგის და შეფასების პროცესის ვადები (2,5 წელს და სტრატეგიული გეგმის ბოლო), რომელის განხორციელებაც დაწესებულებას ამ ეტაპზე არ არ მოეთხოვება. რაც შეესება სამოქმედო გეგმას, მეთოდილოგიით განსაზღვრულია, რომ მონიტორინგი ხორციელდება კვარტლურად, შეფასება კი წლიურად და დაწესებულება იყენებს ანგარიშზის წარდგენის მეთოდს, რომლის საფუძველზეც მზადდება ერთიანი ანგარიში. წარმოდგენილია სოფელ ჟებოტას საბავშვო ბაგა-ბაღის ხელმძღვანელის წლიური ანგარიში, რომელიც მომზადებულია 2024 წლის სექტემბერი 2025 მარტის პერიოდისთვის. როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა. აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე, გაერთიანება ამზადებს ერთიან ანგარიშს. ვიზიტის დროს გაერთიანების მეთოდისტმა წარმოადგინა გაერთიანების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში, სადაც ასახულია, თუ როგორ შესრულდა ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბაღისთვის თითოეული სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანა და აქტივობა. აღნიშნული ანგარიში მოიცავს პერიოდს სასწავლო წლის დაწყებიდან ივნისამდე, თუმცა მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ მონიტორინგი უნდა განხორციედეს კვარტლურად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის ანგარიში ძალიან ზოგადია და არ იძლევა ინფორმაცია/მტკიცებულებას განხორციელებული/ შესრულებული აქტივობების შესახებ. რაც შეეხება შეფასების პროცესს, დაწესებულებამ ის წლის ბოლოს უნდა განახორციელოს.

**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განხორციელება მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ვადებში, კვარტლურად.

რჩევა

სასურველია, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში ითვალისწინებდეს თითოეული მიზნის/ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობის შესრულების აღწერას გაზომვადი ინდიკატორის შესაბამისად. ასევე სასურველია ანგარიშის ფორმა მოიცავდეს შესრულებული აქტივობის მტკიცებულებას, მათ შორის ფოტომასალას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (1.სამოქმედო გეგმის ანგარიშზე დატანილ იქნას მომზადების თარიღი; 2. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განხორციელება კვარტალურად; 3. სამოქმედო გეგმის სტრუქტურაში ასახული იყოს მტკიცებულებები შესრულებული აქტივობების შესახე), პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; გაერთიანების საქმეთამმართველი; ბაღის ხელმძღვანელები; დაინტერესებული მხარეები) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით.**

## 6.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანალიზი ჯერ არ განხორციელებულა და შედეგების საჯაროობაც ვერ იქნება უზრუნველყოფილი. თუმცა დაწესებულების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური დოკუმენტით ა.(ა).ი.პ ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების“ გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 17 ოქტომბრის N226 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესის“ საფუძველზე დაწესებულება

აცხადებს მზად ყოფნას უზრუნველყოს შესრულების შედეგების საჯაროობა, რისთვისაც განსაზღვრულია საკომუნიკაციო არხები: საჯარო ღონისძიებები, შეხვედრები, ვორქშოპები და სხვა. მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიხედვით შეფასების შედეგებს ბაღი გამოიყენებს შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა.(ა).ი.პ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების“ გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 17 ოქტომბრის N 226 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი“,
2. ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 07.11.2024 წლის N237 ბრძანებით დამტკიცებული 2024–2029 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა,
3. ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 01.10.2024 წლის N210/1 ბრძანებით დამტკიცებული ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაგა–ბაღების 2024–2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.
4. სოფელ ჟებოტას საბავშვო ბაგა-ბაღის ხელმძღვანელის სამოქმედო გეგმის ანგარიში
5. გაერთიანების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში.
6. ინტერვიუს შედეგები.
7. სოფელ ჟებოტას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.2. სტრატეგიული განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2. კურიკულუმი [3]

### პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

### კურიკულუმის დასახელება

1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თ ა მ ა შ ი“ 2-5 წლამდე და შერეული ჯგუფებისათვის.
2.სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში აქტივობათაკრებული.

### 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის ამსახველი დოკუმენტი „ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის N222/4 ბრძანება სამუშაო ჯგუფის მიერ ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის მეორე სტანდარტის შესაბამისად შერჩეული კურიკულუმის დამტკიცების შესახებ, რომლის შესაბამისად დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს შერჩეული კურიკულუმით ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში – მეთოდური სახელმძღვანელო 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ ნაწილი I და ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში -- პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ ნაწილი I I. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის ამსახველი დოკუმენტი „ა(ა)იპ

---

[3] მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალცალკე.

თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის N222/5 ბრძანება სამუშაო ჯგუფის მიერ ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის მეორე სტანდარტის შესაბამისად შერჩეული კურიკულუმის დამტკიცების შესახებ, რომლის შესაბამისად დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით – ,,სასკოლო მზაობის პროგრამა – თამაში აქტივობთა კრებული I ‘‘ და ,,სასკოლო მზაობის პროგრამა – თამაში აქტივობათა კრებული II“. დაწესებულებას შექმნილი აქვს 2024 წლის 11 ოქტომბრის ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის N220 ბრძანებით დამტკიცებული ,,კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“, რომლის მიხედვით კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავს კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის, ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობის, კურიკულუმების შერჩევის და დამტკიცების ეტაპებს. დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმების შერჩევის პროცესის ამსახველი დოკუმენტები:

- ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის N222/3 ბრძანება ,,კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“;

- 2024 წლის 1–ელი ოქტომბრით დათარიღებული ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1, სადაც დღის წესრიგის ძირითად საკითხად გაწერილია საქართველოში შექმნილი ადრეული განათლების კურიკულუმების გაცნობა სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების მეთოდისტის მიერ;

- 2024 წლის 07 ოქტომბრით დათარიღებული ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N2, სადაც დღის წესრიგის საკითხებად გაწერილია: 1) დაინტერსებულ მხარეებთან გაზიარებული კურიკულუმების შესახებ უკუკავშირის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის გაცნობა ჯგუფის წევრებისთვის; 2) სამუშო ჯგუფის მიერ კურიკულუმების შერჩევა; 3) შერჩეული კურიკულუმების დასამტკიცებლად წარდგენა გაერთიანების დირექტორთან.
  აღნიშნული ოქმის შინაარსით დაინტერესებული მხარეებიდან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით დაადგინეს, რომ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღებში შერჩეულ იქნას ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ და ,,სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ და შერჩეული კურიკულუმები დასამტკიცებლად წარედგინოს ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორს.

დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში გასაუბრების დროს ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების მეთოდისტის მიერ მატერიალური სახით წარმოდგენილ იქნა ,,სასკოლო მზაობის პროგრამა – თამაში სწავლისა და განვითარებისთვის აღმზრდელის სახელმძღვანელო“, რომლის გამოყენება იგეგმება მომავალში საგანმანათლებლო პროცესში. თუმცა, ა.(ა.)ი.პ. თიანეთის

მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის N222/5 ბრძანებით არ არის დამტკიცებული ,,სასკოლო მზაობის პროგრამა – თამაში სწავლისა და განვითარებისთვის აღმზრდელის სახელმძღვანელო“, რაც წარმოადგენს კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ნაწილს და აუცილებელ კომპონენტს.

**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცდეს დაწესებულების სასკოლო მზაობის ასაკობრივი ჯგუფისთვის ,,სასკოლო მზაობის პროგრამა – თამაში სწავლისა და განვითარებისთვის აღმზრდელის სახელმძღვანელო“.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას ( 1. ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცდეს დაწესებულების სასკოლო მზაობის ასაკობრივი ჯგუფისთვის ,,სასკოლო მზაობის პროგრამა – თამაში სწავლისა და განვითარებისთვის აღმზრდელის სახელმძღვანელო“), პასუხისმგებელი პირი//სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; გაერთიანების საქმეთამმართველი; ბაღის ხელმძღვანელები; დაინტერესებული მხარეები) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით.**

## 2.დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შერჩეული აქვს კურიკულუმი: „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში – მეთოდური სახელმძღვანელო 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ ნაწილი I ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში --პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“. დაწესებულებას ასევე შერჩეული აქვს კურიკულუმი: ,,სასკოლო მზაობის პროგრამა – თამაში აქტივობთა კრებული I და ,,სასკოლო მზაობის პროგრამა – თამაში აქტივობათა კრებული II“, ხოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიური ნაწილი ,,სასკოლო მზაობის პროგრამა – თამაში სწავლისა და განვითარებისთვის აღმზრდელის სახელმძღვანელო’’ არ არის ბრძანებით

დამტკიცებული, მაგრამ დაწესებულებაში ვიზიტის დროს გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს აღნიშნულ სახელმძღვანელოს და გეგმავს მომავალში სააღმზრდელო–საგანმანათლებლო პროცესში გამოყენებას. კურიკულუმი ,,სასკოლო მზაობის პროგრამა – თამაში“, ისევე როგორც ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ ორიენტირებულია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებზე, რაც გულისხმობს თამაშზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით და ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით სააღმზრდელო–საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას. ბავშვისთვის მრავალფეროვანი, ასაკისა და განვითარების შესაბამისი საქმიანობების დაგეგმვითა და ორგანიზებით მრავალმხრივი, ინტეგრირებული, განვითარებაზე დაფუძნებული გამოცდილებების შეთავაზებას, რომელიც ითვალისწინებს ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და უნარებს. შემეცნებითი გარემოს ორგანიზებას, რომელიც ბავშვისთვის ხელმისაწვდომია და უსაფრთხო. ბავშვის ინტერაქციას, დამოუკიდებლობასა და შემოქმედებითობას ხელს უწყობს. უწყვეტი დაკვირვების და შეფასების პროცესს, რაც საგანმანათლებლო პერსონალს აძლევს შესაძლებლობას, მუდმივად თვალყური ადევნოს ბავშვის პროგრესს და მიზნობრივად დაგეგმოს შემდეგი აქტივობები. კურიკულუმი ხელს უწყობს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების მონაწილეობას და ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. კურიკულუმი ხელს უწყობს სააღმზრდელო–საგანმანათლებლო პროცესში ბავშვების ოჯახებსა და თემთან აქტიურ თანამშრომლობას, როგორც ბავშვებთან შედეგიანი მუშაობის მნიშვნელოვან ელემენტს.

„ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში – მეთოდური სახელმძღვანელო 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის გამოყოფს ორ მთავარ მიზანს, ესენია: ჯგუფის ერთობა და კვლევა–აღმოჩენა. მიუხედავად ამ ორი მიზნისა კურიკულუმი ბავშვების მრავალმხრივ, ჰოლისტურ განვითარებას ისახავს მიზნად. აღნიშნული კურიკულუმი ხელს უწყობს ბავშვების კომუნიკაციური, ენობრივი, ადაპტური, მოტორული და სხვა კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების განვითარებას, რაც თავის მხრივ ბავშვების სოციალური, ემოციური და მაღალი აზროვნებითი კომპეტენციების განვითარებას უკავშირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე ერთი მხრივ, მითითებული კურიკულუმი ხელს უწყობს სახელმწიფო სტანდრტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას,რაც ნიშნავს,რომ შერჩეული კურიკულუმი არის ბავშვების კეთილდღეობის გარანტი, აძლევს ბავშვს არჩევანის თავისუფლებას და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღების საშუალებას და მეორე მხრივ შერჩეული კურიკულუმი არის სტანდარტით განსაზღვრული მიზნების მიღწევის საშუალება.

,,სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში სწავლისა და განვითარებისთვის“ მოიცავს რამდენიმე მიზანს. ეს მიზნებია:

- განუვითაროს ბავშვს მომავალი ცხოვრებისათვის, წარმატებულ მოქალაქედ ფორმირებისათვის, მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის საჭირო უნარები;
- დაეხმაროს ბავშვს საუკეთესო არჩევანის გაკეთებასა და ახალ გამოწვევებთან გამკლავებაში; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში;
- ხელი შეუწყოს ბავშვის ფიზიკურ და ემოციურ სიჯანსაღეს;
- მოამზადოს ბავშვი პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის;
- შეუქმნას ბავშვს პოზიტიური განწყობა სწავლისადმი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

## 3.კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მეთოდური სახელმძღვანელო „ადრეული განათლების კურიკულუმი – თამაში“ (ნაწილი I და II) და ,,სასკოლო მზაობის პროგრამა –თამაში“ ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში: თამაში როგორც საგანმანათლებლო პროცესის ძირითადი სტრატეგია, თამაშის აღიარება სწავლისა და განვითარების ინტეგრირებულ პროცესად, თამაშის პროცესში ენის,კომუნიკაციის და სოციალური უნარების განვითარება, კვლევითი გამოცდილებების შეძენა, შემეცნებითი უნარების გაღრმავება. ისევე, როგორც ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“, კურიკულუმი ,,სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“–ც ეფუძნება მიდგომას, რომლის მიხედვითაც თამაში და თამაშის ელემენტები წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითად მექანიზმს. აღნიშნული კურიკულუმების მიხედვით დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ეძლევა შესაძლებლობა ჩაერთოს სხვადასხვა ტიპის თამაშში – როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად, როგორც შენობაში, ისე გარე სივრცეში. საგანმანათლებლო პროცესში ბავშვის და უფროსის როლის თანაბარი გადანაწილება. საგანმანათლებლო პერსონალის, როგორც თანაშემოქმედის როლის აღიარება.

მეთოდური სახელმძღვანელო „ადრეული განათლების კურიკულუმი – თამაში“ (ნაწილი I და ნაწილი II) 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში, რაც გულისხმობს ბავშვის ინტერესებსა და უნარებზე დაფუძნებულ სწავლას, სადაც ბავშვი არა მხოლოდ მიმღები, არამედ პროცესის თანაავტორია. აღნიშნული მეთოდური სახელმძღვანელოს მიდგომები უზრუნველყოფს ბავშვის თამაშითა და ექსპლორაციით სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მას დამოუკიდებლად აღმოაჩინოს, შეისწავლოს და განივითაროს ცოდნა და უნარები. ინიციატივის გამოხატვასა და არჩევანის

გაკეთების შესაძლებლობას, ბავშვის სოციალურ ინტერაქციაში ჩართულობას, შემოქმედებითი აზროვნების, კითხვებისა და ჰიპოთეზების წამოჭრის წახალისებას, სწავლის პროცესში თვითგამოხატვის მრავალ ფორმას და განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................

## 4.კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ისევე, როგორც ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში", კურიკულუმი ,,სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში" გულისხმობს ოჯახთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება აქტივობების დაგეგმვის პროცესში ოჯახის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით; ბავშვის ოჯახთან რეგულარული კომუნიკაციით, კონსულტირებით და ინფორმაციის გაზიარებით; აღნიშნულ კურიკულუმებში ხაზგასმულია მშობლის როლი, როგორც მხარდამჭერისა და პარტნიორის საგანმანათლებლო პროცესში. მშობლებთან თანამშ-რომლობა აღნიშნული კურიკულუმების ეფექტურად განხორციელების განუყოფელი ნაწილია. ისევე, როგორც ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში", ,,სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში" კურიკულუმის მიხედვით მშობლების ჩართულობა მხარდაჭერის ძლიერ სისტემას ქმნის, რაც ცალსახად აძლიერებს სასწავლო პროცესს. აღნიშნული კურიკულუმები ეფუძნება თემთან თანამშრომლობის მნიშვნელობას და აღიარებს მშობლების/მზრუნველების აქტიურ ჩართულობას მოხალისის, პროფესიონალის, ექსპერტის, დამხმარეს როლით ბავშვის სწავლისა და განვითარების პროცესში. ეს ვლინდება:

- საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვაში ოჯახის ჩართულობის გათვალისწინებით,
- თემის წარმომადგენლების პროექტებში და თამაშების სცენარში ჩართულობით,
- კვირის თემატურ გეგმებში ოჯახური და თემის გამოცდილების ინტეგრაციით,

- მშობლებისთვის განკუთვნილი რეკომენდაციებითა და თანამშრომლობის ფორმების დეტალური აღწერით,
- მშობლებთან რეგულარული შეხვდრებით სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მაგალითად:კურიკულუმის,საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობის,ბავშვის მიღწევებისა და პროგრესის შესახებ,
- მშობლების განათლებისა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 5.კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმი ,,სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“, ისევე როგორც ,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ მოიცავს მრავალფეროვან საქმიანობებს, რაც ვლინდება ბავშვის მიერ აზრის გამოთქმის, საუბრის, მოსმენის, წიგნებთან ურთიერთობის, დაკვირვების, დათვალიერების, კვლევის, ექსპერიმენტირების, გამოგონების, შექმნის, მრავალფეროვანი მასალების გამოყენების შესაძლებლობაში. ითვალისწინებს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინდება ასაკობრივად შესაფერისი ეფექტური გამოცდილებებით კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებისთვის. ისევე, როგორც ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“, კურიკულუმი ,,სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ ითვალისწინებს თითოეული ბავშვის გაცნობას, მათზე თანმიმდევრულ დაკვირვებას ბავშვების ინდივიდუალური თავისებურებების გამოსავლენად, რის საფუძველზეც ხდება პროცესის ინდივიდუალიზაცია და საგანმანათლებლო პრაქტიკის შესაბამისი დაგეგმვა, რათა საგანმანათლებლო პროცესი ასაკთან ერთად ბავშვების ინდივიდუალური განვითარების დონის შესაბამისი იყოს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

## 6.კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები – ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ და ,,სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“, გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან, რაც დასტურდება 2024 წლის 12 ნოემბრის თიანეთის N2 საბავშვო ბაგა–ბაღის თანამშრომელთა საერთო კრების N2 ოქმით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2024 წლის 11 ოქტომბრის ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის N220 ბრძანებით შექმნილი ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაგა–ბაღებისათვის ,,კურიკულუმის შერჩევის/შექმნის,გაზიარების,შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“, სადაც კურიკულუმის გაზიარების დაინტერესებული მხარეებია მშობლები და დაწესებულების პერსონალი. დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ და ,,სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ გაზიარება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან დასტურდება ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 01 ოქტომბრის N210 ბრძანებით შემუშავებული ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაგა–ბაღებში ,,საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის“ საფუძველზე დამტკიცებული 2024–2025 სასწავლო წლის საკომუნიკაციო გეგმაში მეორე აქტივობად განსაზღვრული ჩანაწერით – ოქტომბრის თვეში მშობლებისთვის შერჩეული კურიკულუმების გაცნობის შესახებ და დაწესებულების აღსაზრდელების მშობლების მიერ შესავსები ,,მშობლის კითხვარით“, სადაც ერთ–ერთ შეკითხვად გაწერილია იცნობს თუ არა მშობელი ,,ადრეული განათლების კურიკულუმ – თამაშს“.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. „ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 01 ოქტომბრის N222/3 ბრძანება
2. „ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის N222/4 ბრძანება
3. „ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის N222/5 ბრძანება
4. ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 01 ოქტომბრის N210 ბრძანება ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაგა–ბაღებში ,,საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის“ დამტკიცების შესახებ
5. ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის N220 ბრძანება ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაგა–ბაღებისათვის ,,კურიკულუმის შერჩევის/შექმნის , გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის“ დამტკიცების შესახებ
6. ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის N220 ბრძანებით შექმნილი ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაგა–ბაღებისათვის ,,კურიკულუმის შერჩევის/შექმნის , გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“
7. ინტერვიუს შედეგები
8. სოფელ ჟებოტას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.1.კურიკულუმის დაგეგმვა** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

## 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში – მეთოდური სახელმძღვანელო 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ ნაწილი-I, ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში --პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობას და პერიოდულობას განსაზღვრავს შემდეგნაირად აღმზრდელი იყენებს ერთ კვირაზე გაწერილ მიმდინარე გეგმებს, რომლებიც ყოველკვირეულად დგება.რეკომენდებულია საბავშვო ბაღმა გრძელვადიანი გეგმა შეადგინოს წლიურად,კვარტლურად ან წელიწადში ორჯერ.

,,სასკოლო მზაობის პროგრამა – თამაში“ კი ითვალისწინებს, მოკლევადიან - ერთი კვირის დეტალურ და გრძელვადიან - ერთი თვის ზოგადი ხასიათის გეგმას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 01 მარტის N58 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი'',რომლის მე–3 მუხლის მიხედვით საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მიმართ დაწესებულების ხედვა შემდეგნაირია:

- საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე „ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს;
- „ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი (ყოველკვირეული) და გრძელვადიანი (წლიური) და შინაარსის ასპექტებით შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს;

შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმები დამტკიცებულია 2025 წლის 23 მაისის „ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების“ დირექტორის N89 ბრძანებით „ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების“ საბავშვო ბაგა–ბაღებისათვის მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმების დამტკიცების შესახებ. დამტკიცებული გეგმების პერიოდულობა და ხანგრძლივობა შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში – მეთოდური სახელმძღვანელო 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ ნაწილი I, ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში -- პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ და კურიკულმის ,,სასკოლო მზაობის პროგრამა – თამაში“ გეგმების პერიოდულობას და ხანგრძლივობა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

## 2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული „ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 01 მარტის N58 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის'' მე–2 მუხლის შესაბამისად დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების ერთ–ერთ საკვანძო ასპექტს წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკის უზრუნველყოფა. აღნიშნული წესის მე–3 მუხლის მიხედვით საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა მიმდინარეობს შემდეგნაირად:

- მოკლევადიანი გეგმა იქმნება საბავშვო ბაგა–ბაღის თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს „ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების“ მეთოდისტი ან საბავშვო ბაგა–ბაღის ხელმძღვანელი.
- გრძელვადიანი გეგმა იქმნება „ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების“ დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საბავშვო ბაგა–ბაღის საგანმანათლებლო პერსონალი, „ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების“ მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი ან საბავშვო ბაგა–ბაღის საგანმანათლებლო პერსონალი და ხელმძღვანელი.

ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 მაისის N89 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა–ბაღებისთვის მოკლევადიანი და გრძელვადიანი (აღმზრდელის წლიური სამოქმედო) გეგმების ფორმები, რომლებიც „ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 01 მარტის N58 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის’’ მე–3 მუხლის შესაბამისად მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

ა) ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები;
ბ) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები;
გ) თამაშზე ორიენტირებული პროცესი;
დ)სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში(შიდა/გარე)საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა;
ე) ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები.
დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალს ხელშეკრულებაში არ აქვს განსაზღვრული არასაკონტაქტო ანაზღაურებადი საათები და ამ საათების ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალი, თუმცა დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალთან (აღმზრდელი,აღმზრდელის თანაშემწე) გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ ფლობენ ინფორმაციას, რომ მოკლევადიანი გეგმები უნდა შემუშავდეს უშუალოდ თითოეული ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ. შემუშავებაში კი ჩართული უნდა იყოს ყველა სპეციალისტი, რომელიც მუშაობს ბავშვთან. ამაში იგულისხმება, როგორც სხვადასხვა ცვლების აღმზრდელები და თანაშემწეები, ასევე მუსიკის, ცეკვისა თუ სხვა პროფილის საგანმანათლებლო პერსონალი. ასევე მოკლევადიან დაგეგმვაში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერმა სხვა პერსონალმა, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან ან ეხმარება აღმზრდელს. მაგალითად, ფსიქოლოგს შეუძლია დააგეგმინოს აღმზრდელს ინდივიდულიზაცია ბავშვისთვის, რომელსაც ქცევისა და ემოციების რეგულირება უჭირს. ფსიქოლოგთან გასაუბრებით დადასტურდა მისი მზაობა ამ პროცესის განხორციელების მიმართ. დაწესებულებაში გამოყოფილია სივრცე საგანმანათლებლო პერსონალის ერთობლივი მუშაობისთვის. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მოკლევადიანი გეგმების ფორმებზე დატანილია ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის (აღმზრდელი/აღმზრდელის თანაშემწე) ხელმოწერის გრაფა.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული „ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 01 მარტის N58 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის'' მიხედვით დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- დღის განრიგი;
- აღმზრდელის პორტფოლიო;
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო, რომელიც მოიცავს ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს.

ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები,რომელიც მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

- ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები,
- ბავშვის შეფასების ჩანაწერები;
- ბავშვის ნამუშევრები.

საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში აღნიშნული დოკუმენტაციით ვლინდება ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები. დღის განრიგით, რომელიც ჯგუფში მიმდინარე პროცესებს აღწერს თანმიმდევრულად, საგანმანათლებლო პროცესს უფრო ორგანიზებულს და პროგნოზირებადს ხდის და ისე არის აწყობილი, რომ იძლევა ცვლილებების საშუალებას. დღის განრიგი ბავშვებს ეხმარება, რომ მათ დაცულად იგრძნონ თავი და საგანმანათლებლო პერსონალს უწყობს ხელს უკეთესად დაგეგმონ დღე, სწორად გაანაწილონ დრო, მოემზადონ შესაბამისი აქტივობისა თუ გამოწვევისთვის; აღმზრდელის პორტფოლიოთი, რომელიც მოიცავს დღის განრიგს, გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს და რეფლექსურ ჩანაწერებს. „ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 მაისის N89

ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა–ბაღებისთვის მოკლევადიან კვირის გეგმის ფორმაში არსებული კვირის ანალიზის გრაფაში მიმდინარე კვირის დასრულების შემდეგ აღმზრდელის მიერ გაკეთებული ჩანაწერებით/გაანალიზებით, რითიც შესაბამისად გამოიკვეთება ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები; სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოთი, რომელიც მოიცავს ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული „ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 01 მარტის N58 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის'' მიხედვით დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- დღის განრიგი;
- აღმზრდელის პორტფოლიო;
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო;
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები.

ამავე წესის საფუძველზე საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში აღნიშნული დოკუმენტაციით ვლინდება ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებები:

- აღმზრდელის პორტფოლიოს საშუალებით, რომელიც მოიცავს დღის განრიგს, გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს და რეფლექსურ ჩანაწერებს.
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოს საშუალებით,რომელიც მოიცავს ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს.
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოების საშუალებით, რომლებიც დაწესებულებაში იწარმოება ყველა ბავშვისთვის ინდივიდუალური მატერიალური ფორმით და მოიცავს:
- ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს,
- ბავშვის შეფასების ჩანაწერებს;
- ბავშვის ნამუშევრებს;

„ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 23 მაისის N89 ბრძანებით დამტკიცებულ მოკლევადიან კვირის გეგმებში არსებული ინდივიდუალიზაციის გაწერით, კერძოდ ინდივიდუალიზაციის გრაფაში მოცემული ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნების მიღწევის საშუალებებით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

## 5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული როგორც ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“–ს , ასევე ,,სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ კურიკულუმის მიხედვით თამაშის და თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი

ხერხია და დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად ასევე ჯგუფურად, როგორც შენობაში ასევე გარე სივრცეში.
საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები რაც ვლინდება აღნიშნული დეკლარირებული კურიკულუმების მიხედვით , ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ჯგუფებში გამოკრულ დღის განრიგში , სასკოლო მზაობის ჯგუფისთვის და 2–დან 5 წლამდე ასაკის და შერეული ჯგუფებისათვის შექმნილ კვირის გეგმის ფორმებში, რომელიც შეიცავს ტრანზიციის კომპონენტს.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................
რჩევა
..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

### 6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულებაში სააღმზრდელო ჯგუფის ოთახები დაყოფილია სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად, რაც დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის შესაძლებლობას აძლევს. ეს თამაშებია: დრამატული და წარმოსახვითი, შემოქმედებითი, კვლევითი, სენსორული, სამაგიდო , მოძრავი , მანიპულაციური, კონსტრუქციული,თამაში რომელიც ბავშვის მიერ არის ინიცირებული და თამაში ,რომელიც უფროსის მიერ არის ინიცირებული. ბავშვებს ეძლევათ შენობის შიგნით და შენობის გარეთ დაგეგმილ ან/და დაუგეგმავ თამაშებში ყოველდღიურად ჩართვის შესაძლებლობები. შესაბამისად ეზოც დაყოფილია სხვადასხვა ფუნქციურ სივრცეებად: დრამატული, მოძრავი, სენსორული (საქვიშე), სივრცე განმარტოებისთვის, სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

## 1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი „ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 01 მარტის N58 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“,სადაც გაწერილია საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა.

დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს და მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით კურიკულუმთან ერთად და შეძენა ხორციელდება სატენდერო შესყიდვის და პირდაპირი გზით.

დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ძირითადად საგანმანათლებლო რესურსის შეძენა დაგეგმილია ყოველი კალენდარული წლის ბოლოს პერიოდში, დაწესებულების ბიუჯეტიდან გამონთავისუფლებული თანხებით. აღნიშნულიდან გამომდინარე საგანმანათლებლო რესურსის მიწოდება არ იქნება მუდმივი, უწყვეტი და თანმიმდევრული და პროცესის

განხორციელებას შეუქმნის საფრთხეს რესურსის არ არსებობის ან შეყოვნების გამო. რესურსების ხარჯვისა და მოთხოვნის აღრიცხვის მუდმივობას უნდა ემთხვეოდეს რესურსის მიწოდების სიხშირე, და ეს პროცესები უნდა ქმნიდეს უწყვეტ ჯაჭვს.

„ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 30 ივნისის N128/1 ბრძანებით დამტკიცებულია მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა.

**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ დაგეგმოს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმის ამოქმედება ისე,რომ რესურსების ხარჯვისა და მოთხოვნის აღრიცხვის მუდმივობა ემთხვეოდეს რესურსის მიწოდების სიხშირეს.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას ( 1. რესურსების საჭიროების განსაზღვრა პერიოდულად, 2. საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმის ამოქმედება ისე, რომ რესურსების ხარჯვისა და მოთხოვნის აღრიცხვის მუდმივობა ემთხვეოდეს რესურსის მიწოდების სიხშირეს), პასუხისმგებელი პირი//სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; გაერთიანების საქმეთამმართველი; ბაღის ხელმძღვანელები; დაინტერესებული მხარეები) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით.**

## 2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ და ,,სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ კურიკულუმის შესაბამისი მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა „ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 30 ივნისის N128/1 ბრძანებით, სადაც მითითებულია მასალის/რესურსის დასახელება, ასაკი, რაოდენობა მრავალგვარობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით 10 ბავშვიან ჯგუფზე, ღია მასალის შემთხვევაში რაოდენობა 35 ბავშვიან ჯგუფზე,

განვითარების სფერო და სტანდარტი, თუმცა არ არის ინფორმაცია რაოდენობის საზომი ერთეულის შესახებ (ცალი,შეკვრა,ზომა),რაც არ იძლევა საშუალებას ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით საგანმანათლებლო რესურსის კურიკულუმთან შესაბამისობის დადგენაში, რადგან არ არის დათვლადი. საგანმანათლებლო რესურსის 4 სახეობას აქვს მითითებული საზომი ერთეული – შეკვრა ცხრილის რაოდენობის შესაბამის გრაფაში. წარმოდგენილი მიღება–ჩაბარებების აქტებით და სასაქონლო ზედნადებით დასტურდება განსაზღვრული რესურსის არსებობა დაწესებულების ბალანსზე.

„ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 12 იანვრის N7 ბრძანებით დამტკიცებულ ,,ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის" მე–4 მუხლის, მე–5 პუნქტში არის შემდეგი ჩანაწერი: ,,საგანმანათლებლო რესურსი განისაზღვრება მოქმედი კუერიკულუმის სპეციფიკიდან გამომდინარე. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის თანაფარდობა ბავშვთა რაოდენობასთან მიმართებით მოცემულია დეკლარირებულ კურიკულუმში ,,მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა".

ისევე, როგორც ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“, კურიკულუმი ,,სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“ გულისხმობს ოჯახთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება დაწესებულების მხრიდან თითოეული ბავშვის ოჯახსა და სხვა შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის საფუძველზე დაგეგმილი და განხორციელებული გასვლითი საქმიანობებით სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებსა (მაგ.: მუზეუმში, ზოოპარკში, ქარხანაში,გალერეაში, თეატრში, სკოლაში, საკონცერტო დარბაზებში, სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსებში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ა. შ.) და ბუნებაში (ტყეში, ბოტანიკურ ბაღში,პარკში და ა. შ.)
დაწესებულებამ წარმოადგინა ,,საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი'', რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 01 ოქტომბრის N210 ბრძანებით. აღნიშნული წესით განსაზღვრულია საკომუნიკაციო შიდა და გარე აუდიტორია და არხები. თუმცა არაფერია ნათქვამი თემში არსებული რესურსის გამოყენებაზე.
ზემოთ აღნიშნულ პროცესი გახლავთ საგანმანათლებლო/სააღმზრდელო პროცესში კურიკულუმის განხორციელებისთვის დამხმარე, ხელშემწყობი პროცესი. დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს სისტემური მიდგომა გასვლითი საქმიანობების მიმართ პროექტის მეთოდით სწავლების პროცესში.
**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას შეიმუშაოს,დაგეგმოს თემში არსებული რესურსების გამოყენების ფორმები და აქტივობები.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას ( 1. კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას თემში არსებული რესურსების გამოყენების ფორმებისა და აქტივობების დაგეგმვა, 2. შესაბამისი ინფორმაციის ასახვა გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებში), პასუხისმგებელი პირი//სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; გაერთიანების საქმეთამმართველი; ბაღის ხელმძღვანელები; დაინტერესებული მხარეები) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით.**

## 4.დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ,,საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი", რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 01 ოქტომბრის N210 ბრძანებით. წესის მე–6 მუხლში განსაზღვრულია განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმი კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისათვის. სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის ეფექტიანობის შესაფასებლად დაწესებულება იყენებს უკუკავშირის შემდეგ მექანიზმებს:

- კითხვარები;
- შენიშვნების/წინადადებების ყუთი;
- ღია შეხვედრები.

დაწესებულების მიერ ოჯახთან/თემთან განხორციელებული აქტივობების შეფასება და შეფასების შედეგებიდან გამომდინარე გამოვლენილი საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების მექანიზმი არ არის გაწერილი ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 01 ოქტომბრის N210 ბრძანებით.,,საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“.
**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია
დაწესებულებამ ოჯახთან/თემთან განხორციელებული აქტივობების შეფასების შედეგებიდან გამომდინარე გამოვლენილი საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავოს შესაბამისი ცვლილებების განხორციელების მექანიზმი

რჩევა
......................................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას ( 1. ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 01 ოქტომბრის N210 ბრძანებით დამტკიცებულ ,,საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ ცვლილების შეტანა და ოჯახთან/თემთან განხორციელებული აქტივობების შეფასება და შეფასების შედეგებიდან გამომდინარე გამოვლენილი საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების მეანიზმის გაწერა), პასუხისმგებელი პირი//სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; გაერთიანების საქმეთამმართველი; ბაღის ხელმძღვანელები; დაინტერესებული მხარეები) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1\. . ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 01 ოქტომბრის N210 ბრძანება
2\. „ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 01 მარტის N58 ბრძანება
3\. სოფელ ჟებოტას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

# 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[4]

## 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

### 4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

### 1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სოფელ ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბაღს შემუშავებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა/ორგანოგრამა, საიდანაც ჩანს, რომ ბაღის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ პოზიციებს: საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი, აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, მუსიკის მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ძიძა, მზარეული, მზარეულის თანაშემწე, ექთანი, მნე, მეთეთრეულე, დარაჯი, მეეზოვე, ცეცხლფარეში. პოზიციებზე დასაქმებულ პირთა რაოდენობა დაზუსტებულია საშტატო ნუსხით. საშტატო ნუსხის მიხედვით ბაღში დასაქმებულია 18 პირი. ბაგა-ბაღს ასევე ემსახურება ა(ა)ი.პ ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებ“-ის მეთოდისტი, ექიმ-დიეტოლოგი, სანიტარულ-ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი. საშტატო ნუსხით განსაზღვრული პოზიციებზე დასაქმებულ პირთა რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს

[4] აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

სოფელ ჟებოტას ბაგა-ბაღში მიმდინარე ყველა პროცესის შესრულებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც არ გვაძლევს ნათელ სურათს, შევაფასოთ დაწესებულება რამდენად ითვალსიწინებს ბავშვის ინდივდუალურ საჭიროებს.
ბაღში დასაქმებულ აღმზრდელთა რაოდენობა (4 აღმზრდელი), აკმაყოფილებს საქართველოს კანონით ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ჯგუფში აღმზრდელისა და ბავშვის თანაფარდობის შესახებ. აღნიშნული კანონის შესაბამისად, ბაღში შექნილია საკონსულტაციო საბჭო. დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები და ანგარიშვალდებულების საკითები რეგულირდება ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 24.03.20125 წლის N65 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით. რაც შეეხება პოზიციაზე დასაქმებული პირთა ურთიერთჩანაცვლების საკითხს სტატუსის მაძიებელს არა აქვს განსაზღვრული.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულება დაკომპლექტებულია საჭირო რაოდენობის პერსონალით, რაც უზრუნველყოფს ბაღში მიმდინარე ყველა პროცესის განხორციელებას. თუმცა, დაწესებულების მდგრადი ფუნქციონირებისთვის და ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გასათვალისწინებლად, არ არის განსაზღვრული დასაქმებული პირთა ურთიერთჩანაცვლების საკითხები და არ არის დაგენილი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია
დაწესებულებამ მდგრადი ფუნქციონირებისთვის და ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გასათვალისწინებლად უზრუნველყოს პოზიციაზე დასაქმებული პირების ურთიერთჩანაცვლების საკითხის და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა.

რჩევა
........................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (1.პოზიციაზე დასაქმებულ პირთა ურთიერთჩანაცვლების მექანიზმის განსაზღვრა; 2.საკვალიფიკაციო მოთხოვმების განსაზღვრა; 3.საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცება 4. შესაბამისი ცვლილების შეტანა წესში), პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; გაერთიანების საქმეთამმართველი; ბაღის ხელმძღვანელები; დაინტერესებული მხარეები) და ხარვეზის**

**გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით.**

## 2.დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს შემუშავებული აქვს საკუთარი ორგანიზაციის მოწყობა, საიდანაც ჩანს, რომ ბაღში მიმდინარე თითოეულ პროცესს ჰყავს პასუხისმგებელი პირი. დასაქმებული პირების ფუნქციები რეგულირდება სოფელ ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ წარმოდგენილ შინაგანაწესით, სადაც თითოეულ პოზიციაზე დასაქმებული პირისთვის განსაზღვრულია ფუნქციები, რომელიც მკაფიოდ აღწერს პროცესზე პასუხისმგებელი პირის შესასრულებელი სამუშაოს, პასუხსმგებლობებს, მოვალეობებს და ანგარიშვალდებას. პოზიციის შესაბამისი ფუნქციები წარმოადგენს დასაქმებულთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულების დანართს. დასაქმებული ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობის ფაქტს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................

## 2. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 მარტის №8 დადგენილებით განსაზღვრულია გაერთიანების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. გაერთიანების დირექტორის კვალიფიკაცია დადგენილი მოთხოვნების შესაბამისია. რაც შეეხება დაწესებულებაში დასაქმებულ სხვა პერსონალის კვალიფიკაციას ის არც თიანეთის საკრებულოს და არც თავად დაწესებულებას განსაზღვრული არ აქვს. დაწესებულებას არ აქვს აღმზრდელ-პედაგოგის პოზიცია, რომლის კვალიფიკაციას აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი არეგულირებს. ინტერვიუთი დგინდება, რომ დაწესებულებაში პერსონალის აყვანა ხდება პირდაპირი დანიშვნის გზით, გაერთიანების დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით, რომლის საფუძველზეც ფორმდება შრომითი ხელშეკრულება. ვინაიდან განსაზღვრული არ არის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ვერ ხდება შედარება პოზიციაზე დასაქმებული პირები რამდენად აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს დასაქმებული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა.

რჩევა

......................................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (1.პოზიციაზე დასაქმებულ პირთა ურთიერთჩანაცვლების მექანიზმის განსაზღვრა; 2. შესაბამისი ცვლილების შეტანა წესში), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; გაერთიანების საქმეთამმართველი; ბაღის ხელმძღვანელები; დაინტერესებული მხარეები) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით.**

### 3. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს, არ გააჩნია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპენტენცია. საგანმანათლებლო პერსონალი ამ ეტაპზე არ არის გადამზადებული შესაბამისი მიმართულებით. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნულია, რომ დაწესებულება 2026 წლის 15 აპრილამდე უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადებას პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის მიმართულებით. შესაბამიეობის გეგმით განსაზღვრულია რელევანტური აქტივობა, პასუხისმგებელი პირი და ფინანსური რესურსი.
**ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
**დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (15/04/2025-15/04/2026) ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალის გადამზდება პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის მიმართულებით, რაც დადასტურდება შესაბამისი სერთიფიკატით.**

რჩევა
........................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
........................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................

### 4.1.2 დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

### 1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულებაში პერსონალის მართვის წესები და პირობები განსაზღვრულია ა.(ა).ი.პ. „თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 01.10.2024 წლის N204 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით და ა(ა)იპ

„თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 24.03.2025 წლის N65 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანწესით.

ადამიანური რესურსის მართვის დოკუმენტი განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის ციკლს: დაგეგმვა-ორგანიზაციაში შესვლა-სამუშაოს მართვა- ორგანიზაციიდან გასვლა და განსაზღვრავს დაწესებულების სტრუქტურას: დასაქმებულთა იერარქიას, პირებს, დაქვემდებარებასა, ანგარიშვალდებულებას, კავშირებს. შინაგანაწესით რეგულირდება დაწესეულებაში დასაქმებული პირების შრომითი ურთიერთობები, წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების წესები, დასაქმებულთა ფუნქციები, ბავშვის მიღება და ჯგუფების დაკომპლექტების წესები დაწესებულებაში. ასევე, განსაზღვრულია განცხადებების/საჩივრების განხილვის წესი. წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტები შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს.

პირადი საქმეების შესწავლით და ინტერვიუთი დგინდება, რომ დაწესებულებაში პერსონალის აყვანა ხდება პირდაპირი დანიშვნის გზით, გაერთიანების დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით, რომლის საფუძველზეც ფორმდება შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულების რომელიმე პუნქტში ცვლილების შეტანა ხდება გაერთიანების დირექტორის ბრძანების საფუძველზე. წარმოდგენილია ცვლილების ბრძანებები ხელფასთან და პოზიციის შეცვლასთან მიმართებით. შრომითი ხელშეკრულებების შესწავლით დგინდება, რომ არ არის დაკმაყოფილებული შრომის კოდექსის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების არსებითი პირობები. კერძოდ, ხელშეკრულებები არ არეგულირებს ზეგანაკვეთური სამუშაოს და ანაზღაურების წესებს, ასევე სამუშაო დროს და დასვენების დროს. თუმცა, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პერსონალის სამუშაო და დასვენების პერიოდის გაწერილი განრიგი, რომელიც გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე და ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ცნობილია პერსონალისთვის. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებები მოიცავს შრომის ანაზღაურების ოდენობასა და ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობას, თუმცა არ არის განსაზღული პროცესის განხორციელების წესები. კერძოდ, შრომის ანაზღაურების გადახდისა და შვებულების მიცემის წესები. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია:

დაწესებულებამ უზრუნველყოს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ შრომის კოდექსის მიხედვით, პერსონალის შრომითი ხელშეკრულებების შედგენა, რომლის დროსაც გათვალისიწინებული უნდა იყოს შრომის კოდექსის განსაზღვრული არსებითი პირობები.

რჩევა

............................................................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (1. ხელშეკრულების მომზადება, რომელშიც ასახული იქნება შრომის კოდექსის განსაზღვრული არსებითი პირობები), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; გაერთიანების საქმეთამმართველი) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით**

## 2.აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სოფელ ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბაღს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 4 აღმზრდელთან. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აღმზრდელები სარგებლობენ არასაკონტაქტო საათებით და მათთვის გამოყოფილია სივრცე არასაკონტაქტო საათების ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის განსახორციელებლად. თუმცა, გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის ასახული სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები და მათ ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები.

**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს აღმზრდელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების ასახვა და ასევე განისაზღვროს საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები.

### რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (1. შესაბამისი ხელშეკრულების შემუშავება; 2. ხელშეკრულების გაცნობა თითოეული თანამშრომლისათვის; 3. თანამშრომლებთან ხელშეკრულებების გაფორმება); პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; გაერთიანების**

**საქმეთამმართველი; ბაღის ხელმძღვანელები) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით**

## 3.პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები განსაზღვრულია ა.(ა).ი.პ „თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 01.10.2024 წლის N204 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის დადგენილი პროცედურები ვერ უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას, რამდენადაც **თითოეული პოზიციისთვის არ არის განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები.** პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია ვაკანტურ პოზიციაზე შერჩევის გზები: კონკურსი (ღია/დახურული) და პირდაპირი დანიშვნა. გაწერილია კონკურსის ჩატარების ეტაპები, ჩაშლის საფუძვლები, საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების არჩევის და ფუნქციონირების წესები. რაც შეეხება პირდაპირი დანიშვნის ეტაპებს, დაწესებულება ეყრდნობა ვაკანტური პოზციის მიმართ დადგენილ მოთხოვნებს. პირდაპირი დანიშვნის გზით ვაკანტური პოზიციის დაკავებამდე, კანდიდატთან ტარდება გასაუბრება ან/და კანდიდატის მიერ ხდება წინა დამსაქმებლისგან სარეკომენდაციო წერილის წარდგენა. აღნიშნული რეგულეციების მიუთითებენ, რომ დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა/დანიშვნის პროცესი მაქსიმალურად უნდა გამორიცხავდეს სუბიექტურ გადაწყვეტილებების მიღებას და გამოყენებული პროცედურები და მეთოდები არის გამჭვირვალე. ინტერვიუსა და დანიშვნის აქტების შესწავლით დგინდება, რომ დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა მხოლოდ პირდაპირი დანიშვნის გზით ხორციელდება. პერსონალის პირად საქმეებში წარმოდგენილია დანიშვნის ბრძანებები და ხელშეკრულებები. როგორც აღვნიშნეთ გაფორმებული ხელშეკრულებები ვერ აკმაყოფილებს შრომის კოდექსით განსაზღვრულ ხელშეკრულების არსებით პირობებს.
**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა, რაც უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას.

### რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (1.საკვალიფიკაციო მოთხოვმების განსაზღვრა; 2.საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცება); პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; გაერთიანების საქმეთამმართველი; ბაღის ხელმძღვანელები; დაინტერესებული მხარეები) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით.**

## 4.დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.(ა).ი.პ. „თიანეთის მუნიციპალიტეტის საზავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 01.10.2024 წლის N204 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებს. კერძოდ, ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელთან. დაწესებულების მისია, ღირებუებების, ისტორიის და სტრუქტურის გაცნობა. ტრეინინგებით/სასწავლო კურსით უზრუნველყოფა. საჭირო რესურსებზე წვდომა, სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების გაცნობა, მენტორინგის სისტემა და უკავშირის სისტემის გაძლიერება. ინტერვიუთი დგინდება, რომ დაწესებულების ხელმძღვანელი ახალ თანამშრომელს აცნობს პერსონალს, ასევე ხდება შინაგანაწესის გაცნობა, რაც დასტურდება ხელმოწერით. ახალი თანამშრომელი ეცნობა დაწესებულების მისიას, ხედვას და ღირებულებებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 5.დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ორგანიზაციული კულტურის პრინციპები განსაზღვრული აქვს ღირებულებებით. კერძოდ, დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია პროფესიუნალიზმისა და გუნდური მუშაობის პრინციპზე, რაც გამოჩნდა მისია, ხედვა და ღირებულებების ფორმირების პროცესში, სამუშაო ჯგუფის შექმნითა და ერთობლივი მუშაობით. კურიკულუმის შერჩევის დროს, გრძელევადიანი თუ მოკლევადიანი გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში. გუნდურობა კარგად ჩანდა ვიზიტის დროს, დაწესებულების მთელი პერსონალი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში იყო ჩართული პროცესში. გუნდური მუშაობის დამსახურებაა ბაღში მოწყობილი ჯგუფური ოთახების აღჭურვა მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსით, რაზეც ბაღის თანამშრომლები სიამოვნებით საუბრობენ და აღწერენ რესურსების მოძიების და შექმნის პროცესს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### 4.1.3 დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

#### 1.დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.(ა).ი.პ. „თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 01.10.2024 წლის N204 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს შესრულებული სამუშაოს მართვის საკითხებს, მათ შორის შესრულებული სამუშაოს შეფასებას და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით პროფესიული საჭიროებების მოკვლევას. დოკუმენტი განსაზღვრავს შეფასების ასპექტებს და საჭიროებების მოკვლევის მეთოდებსა და ეტაპებს. დოკუმენტის თანახმად შეფასებას ექვემდებარება დაწესებულების ყველა თანამშრომელი. დოკუმენტში არ ჩანს შეფასების პერიოდულობა და შეფასებაზე პასუხისმგებელი პირი. ინტერვიუთი დგინდება, რომ დაწესებულების მეთოდისტი ახდენს საგანმანათლებლო პერსონალის შეფასებას. თუმცა შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები არ არის წარმოდგენილი. საჭიროებათა კვლევა, ძირითადად ყოველდღიური დაკვირვებით და სისტემაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხდება.

დაწესებულებამ პერსნალის გადამზადება გარკვეული საჭიროებეის მიხედვით განახორციელა. კერძოდ, აღმზრდელები საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტენინგ მოდულის შესაბამისად. ასევე, სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემის HACCP დანერგვასთან დაკავშირებით გადამზადდნენ ბაღის ხელმძღვანელი, მზარეული, მზარეულის დამხმარე, მედდა და მნე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც არ განსაზღვრავს შეფასების პერიოდულობასა და შეფასების პროცესზე პასუხისმგებელ პირს. არ არის შემუშავებული პერსონალის საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტები. განხორციელებული ტრეინინგები სპონტანურია და ძირითადა ავტორიზაციის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად არის განხორციელებული, თუმცა განხორციელებული ტრეინინგები ემსახურება დასაქმებული პროფესიულ განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტში განისაზღვროს პერსონალის საქმიანობის შეფასების პერიოდულობა და პასუხისმგებელი პირი. მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად უზრუნველყოს პერსონალის საქმიანობის შეფასება და საჭიროებათა მოკვლევა, რომელიც მიმართული იქნება პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.

რჩევა

......................................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (1. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტში ცვლილების შეტანა და პერსონალის საქმიანობის შეფასების პერიოდულობისა და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა; 2. შესაბამისი ბრძანების გამოცემა; 3. მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად უზრუნველყოს პერსონალის საქმიანობის შეფასება და საჭიროებათა მოკვლევა, რომელიც მიმართული იქნება პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე); პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; გაერთიანების საქმეთამმართველი; ბაღის ხელმძღვანელები) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით**

## 2.პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

როგორც აღვნიშნეთ, დაწესებულებაში არ არის შემუშავებული პერსონალის საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტები. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად, შეფასების შედეგებზე დაყრდნობით დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული საჭიროებების მოკვლევას. დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოდგინა პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც ითავლისწინებს პირველადი გადაუდებელი დახმარების კომპეტენციის მიმართულებით საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადებას. აღნიშნული აქტივობები მნიშვნელოვანია და მიმართულია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად თუმცა, არ არის დაგეგმილი პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგად საჭიროებების მოკვლევის საფუძველზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია:

დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის პროფესიული განვითარება, საჭიროების მოკვლევის საფუძველზე შედგენილი გეგმის შესაბამისად.

რჩევა

სასურველია, პროფესიული განვითარების აქტივობები დაწესებულებამ წარმოადგინოს გეგმის სახით, რომელიც შემუშავებული და დამტკიცებული იქნება პასუხისმგებელი პირის მიერ, იდენტიფიცირებული იქნება, თუ რომელი წლის გეგმაა და მითითებული იქნება რესურსების ტიპი, რომელიც უზრუნველყოფს დაგეგილი აქტივობების შესრულებას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (1. პერსონალის განვითარების საჭიროებათა იდენტიფიცირების ფორმების შემუშავება; 2. პეროსნალის საჭიროების განსაზღვრა; 3. პერსონალის საჭიროებაზე ორიენტირებული განვითარების გეგმის შემუშავება); პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; გაერთიანების საქმეთამმართველი; ბაღის ხელმძღვანელები; გაერთიანების ბიუჯეტი) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით**

## 3.დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.(ა).ი.პ. „თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 01.10.2024 წლის N204 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების ხელშეწყობის მექანიზმებს. კერძოდ, პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან.

ინტერვიუთი დგინდება, რომ დაწესებულება არა მხოლოდ აუცილებელობით გათვალისწინებელ ტრეინინგების გავლას სთავაზობს პერსონალს, არამედ ცდილობს ტრეინინგები დაიგეგმოს მათი სურვილების და ინტერესების გათვალსიწინებით. თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ ფსიქოლოგმა გაიარეს მოდული თამაში- კურიკულუმი, რომლის ინიციატორი იყო თავად ფსიქოლოგი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.........................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................

რჩევა

.........................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.........................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 24.03.2025 წლის N65 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი.
2. ა.(ა).ი.პ. ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 01.10.2024 წლის N204 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი.
3. დაწესებულების სტრუქტურა/ორგანოგრამა;
4.პერსონალის პირადი საქმეები.
5. შრომითი ხელშეკრულებები.
6. დანიშვნის ბრძანებები.
7. სერთიფიკატები, რომლებიც ადასტურებს პერსონალის პროფესიულ განვითარებას.
8. ინტერვიუს შედეგები.
9. სოფელ ჟებოტას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.1. პერსონალის მართვა და განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 3.2. პროცესების მართვა

## 3.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

### 1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 29.02.2024 წლის N50/1 ბრძანებით დამტკიცებული პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის მე-4 მუხლის მიხედვით განსაზღვრულია დაწესებულების ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები, ხოლო N1 დანართის სახით დოკუმენტს აქვს იდენტიფიცირებული პროცესების აღმწერები. დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს -ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, რომელიც ამ ეტაპზე დაწესებულებას არ ჰყავს.

მმართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგმარება და ხარისხის უზრუნველყოფა.

ძირითადი პროცესებია: კურიკულუმის შერჩევა/შემუშავება, განხორციელება, შეფასება და განვითარება; საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება; ბავშვების რაოდენობის მართვა (რეგისტრაცია, ჩარიცხვა, ამორიცხვა); სსსმ ბავშვების მომსახურება; ოჯახთან და თემთან ურთიერთობა.

დამხმარე პროცესები: ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსის მართვა; საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა); პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა; ფინანსური რესურსების მართვა; სანიტარულ-ჰიგიენური პროცესების მართვა; ბავშვთა კვების უზრუნველყოფის პროცესის მართვა; სხვა სერვისები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია, დაწესებულებას ,,პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის' შესაბამისად ჰყავდეს ხრისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ან აღნიშნული ფუნქცია შეუთავსოს სხვა დასაქმებულ პირს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

## 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 29.02.2024 წლის N50/1 ბრძანებით დამტკიცებულ პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტს დანართის სახით ახლავს პროცესების აღმწერები. აღმწერები მოიცავს, პროცესის დასახელებას, ახდენს პროცესის მფლობელის იდენტიფიცირებას, განსაზღვრავს პროცესის შემადგენელ ეტაპებს/ქვეპროცესებს და პროცესის მარეგულირებელ წესს/მექნიზმს. პროცესების მარეგულირებელი მექანიზმები ეფუძნება, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-გააუმჯობესე (დემინგის ციკლი). დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, რომელიც ამ ეტაპზე დაწესებულებას არ ჰყავს. ვინაოდან დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციას, პროცესები სრულყოფილი ციკლით ჯერ არ განხორციელებულა, თუცა მარეგულირებელი დოკუმენტებით დაწესებულება აცხადებს მზაობას დაწესებულებაში პროცესები განხრციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია, დაწესებულებას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის განსახორციელებლად ჰყავდეს განსაზღვრული ხარისხის მენეჯერი ან აღნიშნული ფუნქცია შეუთავსოს სხვა დასაქმებულს და მკაფიოდ განისაზღვროს მისი ფუნქციები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 01.10.2024 წლის N204/1 ბრძანებით დამტკიცებულია ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი. აღნიშნული წესით განსაზღვრულია ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის პრინციპები, ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესის ფორმები, პერიოდულობა, ვადები, ეტაპები, ბავშვის ამორიცხვა, გადაყვანა და მათი განხორციელების წესები. დადგენილი რეგულაციების შესაბამისად, დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება ჩარიცხვის პროცესის პერიოდულობისა და ვადების შესახებ. ჩარიცხვის განაცხადი, რომელიც წარდგენა ხდება მატერიალური ფორმით.ასევე, წარმოდგენილია ბავშვის სარეგისტრაციო ფურცელი და ჩარიცხვის ბრძანება. წარმოდგენილია მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების შაბლონი. ბაღში ბავშვის მიყვანის და ჯგუფების დაკომპლექტების გარკვეული წესები გაწერილია დაწესებულების შინაგანაწესში. შინაგანაწესით ასევე რეგულირდება ბაგა-ბაღში ჩარიცხვისთვის წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალი და აღსაზრდელის მოყვანა-გაყვანის წესი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..............................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)ი.პ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 01.10.2024 წლის №204/1 ბრძანებით დამტკიცებული ბავშვის ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელ წესი და დაწესებულების შინაგანაწესი განსაზღვრავს ბაგა-ბაღში ბავშის ჩარიცხვისთვის წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს, თუმცა არც ერთი დოკუმენტით არ არის განსაზღვრული როგორ ხდება ბავშვის პირადი საქმეების წარმოება. კერძოდ, ვინ არის პასუხისმგებელი ბავშვის პირადი საქმეების წარმოებაზე და რა დოკუმენტები ინახება ბავშვის პირად საქმეებში. ასევე შინაგანაწესით და ბავშვის ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელ წესით განსაზღვრული, წარსადგენი დოკუმენტების ნუსხაც არ არის თანხვედრაში. გარდა შინაგანაწესით განსაზღვრული დოკუმენტების ჩამონათვალისა (მშობლის/კანონიერი წარმომდგენლის განცხადება ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის სახელზე, ბავშვის დაბადების მოწმობის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა) ბავშვის ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელ წესით განსაზღვრულია ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების ჩამონათვალი, როგორიცაა:

- ✓ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე
- ✓ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის)
- ✓ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია, ტელეფონი,
- ✓ ინფორმაცია ბავშვის ქრონიკული დაავადებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში
- ✓ ბავშვის სპეციალური საკვების მიერ ალერგიების ან კვებითი აუტანლობის შესახებ.
- ✓ მშობლის (მშობლების)/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა სარეგისტრაციო ბარათის შაბლონი, სადაც მოთხოვნილია იმ პირთა სახელი, გვარის და ტელეფონის ნომრის მითითება, რომლებიც უფლებამისილნი არიან ბავშვის საბავშვო ბაღში მოყვანასა და წაყვანაზე.
რაც შეეხება პერსონალის პირადი საქმეების წარმოებას, ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორის 01.10.2024 N204 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის 22-ე მუხლით და დაწესეულების შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა პირად საქმეებში განსათავსებელი დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც თანხვედრაშია ერთმანეთთან. თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ პირად საქმეებში განთავსებულია დაწესბულების მიერ დადგენილი დოკუმენტაციის ჩამონათვალი. კერძოდ,

- ✓ რეზიუმე-CV;
- ✓ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი:

- ✓ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ სერტიფიკატები/განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები
- ✓ ცნობა ნასამართლეობის შესახებ
- ✓ ცნობა ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ;
- ✓ ჯანმრთელობის ცნობა;
- ✓ ცნობა ტუპერკულიოზის დაავადების არ არსებობის შესახებ.
- ✓ შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების ასლები.

პერსონალის პირადი საქმეები არ მოიცავს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-181 მუხლის მიხედვით განსაზღვრული „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობას, რომლის არსებობაც პირად საქმეში არ არის განსაზღვრული არც პერსონალის მარეგულირებელი წესით და არც დაწესებულების შინაგანაწესით. არ არის განსაზღვრული რა დოკუმენტები უნდა ინახებოდეს მომსახურეობის მიწოდების ადგილზე და რა დოკუმენტები გაერთიანებაში, ასევე არ არის განსაზღვრული სამზარეულოს პერსონალისთვის ბაქტერიების და ჭიის არარებობის შესახებ ცნობების განახლების პერიოდი. აღნიშნული ცნობები არ არის წარმოდგენილი. აღსანინავია, რომ შინაგანაწესით განსაზღვრულია საქმისმწარმოებლის ფუნქცია, მოაწესრიგოს თანამშრომელთა პირადი საქმეები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას არა აქვს სრულყოფილი წესი, რომლის მიხედვითაც აწარმოებს პერსონალის და ბავშვის პირად საქმეებს. ასევე პერსონალის პირად საქმეებში არ არის ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“.

**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს, პირადი საქმეების წარმოების სრულყოფილი წესის შემუსშავება, რომლის მიხედვითაც მოხდება პერსონალის და ბავშვის პირადი საქმეების წარმოება. ყველა თანამშრომლის პირად საქმეებში განთავსდეს კანონმდებლობით განსაზღვრული „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (1. პირადი საქმეების წარმოების სრულყოფილი წესის შემუშავება, რომლის მიხედვითაც მოხდება პერსონალის და ბავშვის პირადი საქმეების წარმოება. ყველა თანამშრომლის პირად საქმეებში**

**განთავსდეს კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“); პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; გაერთიანების საქმეთამმართველი) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1. ა.(ა).ი.პ. ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორის 01.10.2024 წლის N204 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი
2. ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 01.10.2024 წლის N204/1 ბრძანებით დამტკიცებული –ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგურილებელი წესი
3. მართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები;
4. პერსონალის პირადი საქმეები
5. ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება ჩარიცხვის პროცესის პერიოდულობისა და ვადების შესახებ;
6. ჩარიცხვის განაცხადის ფორმა
7.ბავშვის რეგისტრაცია და ჩარიცხვის ბრძანება.
8. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულება
9. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების შაბლონი
10. დაწესებულების შინაგანაწესი
11. ინტერვიუს შედეგები
12. სოფელ ჟებოტას შესაბამისობის გეგმა

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.2 პროცესების მართვა** | | | |
| შეესაბამებ.ა ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.3. მატერიალური რესურსი

### 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

### 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

### 4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

## 4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, დაწესებულებაში გამოყოფილია სამედიცინო მომსახურების ოთახი და ჰყავს მედდა. დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული სამედიცინო პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ამიტომ ვერ დგინდება რამდენად აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს სოფელ ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბაღის მედდა. თუმცა ბაღის მედდას აქვს შესაბამისი განათლება. დაწესებულებას არ აქვს გაწერილი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომელიც განსაზღვრავს თუ ვინ და როგორ არის პასუხისმგებელი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე. მედდასთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია მისი ფუნქციები, თუმცა არ გვხვდება ვადების კონტროლი პირველად სამედიცინო მასალებსა და მედიკამენტებზე. დაწესებულება აწარმოებს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს. არ აწარმოებს დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვას. რაც შეეხება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, დამტკიცებულია საგანგებო შტაბი, თუმცა საგანგებო მართვის გეგმა არ არის შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდეგნილია შესაბამისობის გეგმა, აქტივობების და ვადების მითითებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას აქვს სამედიცინო დახმარების ოთახი და ჰყავს სამედიცინო პერსონალი. დაწესებულებას არ აქვს გაწერილი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. არც დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვის ჟურნალი. არ არის განსაზღვრული სამედიცინო პერსონალის (მედდა) საკვალიფიკაციო მოთხოვნები. არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან. თუმცა, დაწესებულებამ ამ უკანასკნელზე

წარმოდგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია საგანგებო სიტუაციების გეგმის შეთანხმების აქტივობა, პასუხისმგებელი პირი და ფინანსური რესურსები, ასევე განსაზღვრულია ხარვეზის გამოსწორების ვადა 2026 წლის 15 აპრილამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

**დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 2026 წლის 15 აპრილამდე.**

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრავს თუ ვინ და როგორ არის პასუხისმგებელი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე. აწარმოოს დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვის ჟურნალი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სოფელ ჟებოტას საბავშვო ბაგა-ბაღმა წარმოადგინა ბაღის ტერიტორიაზე არსებული მცენარეების ჩამონათვალი, თუმცა ინფორმაცია მცენარეების უსაფრთხოების შესახებ პერსონალის და ბავშვრბის ჯანმრთელობისთვის არ არის ცნობილი. ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ უსაფრთხოების მიზნით ბაღმა უზრუნველყო გარკვეული ეკლიანი მცენარეების ბაღის ტერიტორიიდან გატანა. სხვა ტიპის საფრთხეებისთვის პრევენციული ზომები არ არის გაწერილი.

**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ბაღში არსებული მცენარეების შესახებ ინფორმაციის შეგროვება პერსონალის და ბავშვის ჯანმრთელობის უსაფრთხოებისთვის. საფრთხის შემცველი მცენარეების არსებობის შემთხვევაში დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს პრევენციული ღონისძიებები.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (1. ბაღის ტერიტორიაზე არსებული მცენარეების აღრიცხვა. 2. კომპეტენტურმა პირმა უზრუნველყოს მონაცემების შეგროვება მცენარის პერსონალის და ბავშვის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოების შესახებ. 3. საფრთხის შემცველი მცენარეების არსებობის შემთხვევაში, პრევენციული ღონისძიებების შემუშავება); პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; ბაღის ხელმძღვანელები) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით**

## 3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 01.10.2024 წლის N210/1 ბრძანებით დამტკიცებული ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის თანახმად, ბავშვის პირად საქმეში სხვა დოკუმენტებთან ერთად უნდა ინახებოდეს მშობლის ნებართვა, კურიკულუმის ფარგლებში ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე. რაც შეეხება უსაფრთხოების წესებს, რომლებიც დაარეგულირებს კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ბაღის ტერიტორიიდან გაყვანას, ამ ეტაპზე არ არის შემუშავებული. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ბაღის ტერიტორიიდან გაყვანის უსაფრთხოების წესების შემუშავება.

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (შეიმუშავოს და დოკუმენტურად განსაზღვროს მექანიზმი, რომელიც მოიცავს ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესებს დაწესებულების ტერიტორიიდან გასვლისას); პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; გაერთიანების საქმეთამმართველი) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით**

## 4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

### 1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღის შენობის ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ გარემო პროგნოზირებადია. კერძოდ, განთავსებულია სხვადასხვა სახის მანიშნებლები. ჯგუფურ ოთახებში გამოკრულია საათი-დღის განრიგი, სადაც თვალსაჩინოდ, ნახატებით არის წარმოდგენილი დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები. ასევე ნახატების სახით წარმოდგენილია ქცევის წესები. ყველა ოთახს აქვს თავისი მანიშნებელი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების შინაგანაწესი მოიცავს საკითხებს, რომლებიც უზრუნველყოფს არაძალადობრივი გარემოს შექმნას. კერძოდ, გაწერილია ბაღში დასაქმებული პირების ვალდებულებები, ფუნქციები და აკრძალვები. შინაგანაწესში ასევე აღწერილია ბავშვის უფლებების დარღვევის შემთხვევაში დასაქმებული პირების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობები. შინაგანაწესს დანართად აქვს ,,შინაგანაწესის გაცნობის ფურცელი“, რომელზედაც ხელმოწერით პირი ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. დაწესებულების ოთხმა აღმზრდელმა, აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის ფარგლბში გაიარეს ბავშვის ძირითადი უფლებების საკითხები. კერძოდ, ბავშვთა უფლებების კონვენცია, რომელშიც გაერთიანებულია ბავშვის დაცვასთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპები, ბავშვთა უფლებები, სახელმწიფოსა და ინდივიდის დონეზე ბავშვთა დაცვის საკითხების უზრუნველყოფის მიმართულებით არსებული ვალდებულებები. პერსონალის პირად საქმეში განთავსებულია ტრეინიგ მოდულის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები. დაწესეულების პერსონლთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი იცნობენ ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებს და იცავენ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განხორციელების დროს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### 3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 01.08.2024 წლის N143 ბრძანებით დამტკიცებულია ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი, რომელიც განსაზღვრავს იდენტიფიცირებისა და რეფერირების პროცედურებს. კონკრეტულად კი გაერთიანების როლი ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემაში; ბავშვის მიმართ ძალადობაზე რეაგირების საფუძველი; ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში რეაგირებაზე პასუხიმგებელი პირი და რეაგირების მექანიზმი; ნაპოვნი /მიტოვებული ბავშვის რეფერირება; ინფორმაციის კონფიდენციალურობა და რეფერირებასთან დაკავშირებული პროცედურული წესები; ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი. სოფელ ჟებოტას საბავშვო ბაგა-ბაღისთვის, ა(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის - საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 01.10.2024 წლის №203 ბრძანებით განსაზღვრულია ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებაზე პასუხისმგებელი პირი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### 4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღის პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულების პერსონალი ადაპტაციის სხვადასხვა ფორმებს იცნობს. სოფელ ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბღს განსაზღვრული აქვს დიდი ტრანზაციის ხელშეწყობის აქტივობები. კერძოდ, სკოლაში სასკოლო მზაობის ბავშვების სტუმრობა. როგორც ბაღის პერსონალმა აღნიშნა ბაღი აქტივობებს წინასწარ გეგმავს და სკოლასთან ათანხმებს. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ ბავშვის შეგუების საწყისს ეტაპზე მშობლის აქტიური ჩართულობა და სააღმზრდელო პროცესზე დასწრება მოხდება. დაწესებულება აქტიურად გამოიყენებს ეზოს აქტივობებს, რაც ხელს შეუწყობს უწყობს ბავშვებს სირთულეების დაძლევას და ადაპტაციის პროცესის მარტივად გამკლავებას. მცირე ტრანზაციისთვის ჯგუფურ ოთახებში გამოკრულია საათის ფორმის დღის განრიგი, სადაც თითოეული აქტივობა შესაბამისი მინიშნებითაა წარმოდგენილი და საგანმანათლებლო პერსონალი ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლას მათივე ხელით შექმნილი ჟღარუნას საშუალებით ატყობინებს ბავშვებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

სასურველია დაწესებულებას დოკუმენურად გაწერილი ჰქონდეს ეფექტური მექანიზმები/პროცედურები და კარგი პრაქტიკა ბავშვის ბაღთან შეგუების მიმართულებით. ეს შეიძლება იყოს წინასწარ საორიენტაციო შეხვედრები, მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის ჩართულობა, გარემოს შესაბამისად მოწყობა, ბავშვთან ურთიერთობა და სხვა. ეს პროცესები შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ ბაგა-ბაღის ყველა თანამშრომელემა უნდა დაიცვას ბავშვის ინფორმაციის კონფიდენციალურობა, დაუშვებელია ბავშვის ოჯახური პრობლემის საჯაროს განხილვა. გაერთიანების სტრუქტურით განსაზღვრულია

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ყოლა, თუმცა ამ ეტაპზე ის არ არის დასაქმებული და არც შემუშავებულა პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების, გამჟღავნების, განკარგვისა და კონფიდენციალურობის დაცვის პროცედურები. ასევე არ არის გაწერილი ბავშვის პირადი საქმეების წარმოების წესი, სადაც განსაზღვრული იქნება ბავშვის პირად საქმეების წარმოებაზე და შენახვაზე პასუხისმგებელი პირი. ბავშვის პირადი საქმეები მოიცავს პერსონალურ ინფორმაცია ბავშვის და მისი ოჯახის შესახებ. ბავშვის პირად საქმეში ინახება მშობლის წერილობითი ნებართვა ფოტო/ვიდეო ჩანაწერების და სოციალურ ქსელში განთავსების შესახებ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რამდენადაც ბავშვის პირად საქმეებზე პასუხსიმგებელი პირი არ არის განსაზღვრული, რომელიც უზრუნველყოფს პირად საქმეში განთავსებული ბავშვის და ოჯახის შესახებ ინფორმაციაზე უცხო პირის წვდომის დაცულობას. ასევე არ არის შემუშავებული პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების, გამჟღავნების, განკარგვისა და კონფიდენციალურობის დაცვის პროცედურები და არ ჰყავთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაცვის მიზნით დაწესებულებამ განსაზღვროს ბავშის პირადი საქმეების წარმოებასა და შენახვაზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულებამ შეიმუშაოს და დაიცვას პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების, გამჟღავნების, განკარგვისა და კონფიდენციალურობის დაცვის პროცედურები. განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვა.

### რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შერჩევა. 2. ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაცვის მიზნით განისაზღვროდს ბავშის პირადი საქმეების წარმოებასა და შენახვაზე პასუხისმგებელი პირი. 3. შემუშავდეს და დაიცვას პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების, გამჟღავნების, განკარგვისა და კონფიდენციალურობის დაცვის პროცედურები); პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; გაერთიანების საქმეთამმართველი) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის -საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 01.08.2024 წლის N143 ბრძანებით დამტკიცებულია ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი,
2. ა(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის -საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 01.10.2024 წლის №203 ბრძანებით განსაზღვრულია ბავშვზე ძალდობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებაზე პასუხისმგებელი პირი.
3. ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 01.10.2024 წლის N210/1 ბრძანებით დამტკიცებული ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგურილებელი წესი
4. შინაგანაწესი
5. დღის განრიგი
6. ინტერვიუს შედეგები
7. ბაღის შიდა სივრცის ვიზუალური დათვალიერების შედეგები
8. ქებოტას შესაბამისობის გეგმა

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.7. ფინანსური რესურსი

### 4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

#### 1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სოფელ ჟებოტას საბავშო ბაგა-ბაღს წარმოდგენილი აქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც არის ა.(ა).ი.პ. ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების“ გაერთიანების ერთიან გეგმა და თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია ფინანსური რესურსი. დოკუმენტში, სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად, არ ჩანს სოფელ ჟებოტას საბავშვო ბაგა-ბაღისთვის რომელი კონკრეტული აქტივობებია რელევანტური. ინტერვიუთი დგინდება, რომ ბაღს საკუთარი ფინანსური რესურსი არ გააჩნია და ბაღის ხელმძღვანელის მოთხოვნის საფუძველზე გაერთიანების ერთიანი ბიუჯეტიდან ხდება მოთხოვნილი ნივთების შეძენა, რაც დასტურდება სოფელ ჟებოტას საბავშვო ბაგა-ბაღის ხელმძღვანელის მოთხოვნის წერილით და მიღება-ჩაბარების აქტით. ვინაიდან ერთიანი სამოქმედო გეგმით არ არის განსაზღვრული სოფელ ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბაღის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად რა კონკრეტული აქტივობებია რელევანტური, შესაბამისი ფინანსური რესურსებით **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის შესაბამისი ფინანსური რესურსების განსაზღვრა.

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (1. უზრუნველყოფილი იქნას დაწესებულების დონეზე გამოყოფილი, მიზნობრივი ბიუჯეტის წარმოდგენა, რომელიც მკაფიოდ ასახავს საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყოფილ ფინანსურ რესურსებს კონკრეტულად ბაღისთვის); პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; გაერთიანების ბუღალტერი ) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით**

## 2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების ბიუჯეტში არ არის გამოყოფილი ცალკე პუნქტები კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საჭირო რესურსების შესაძენად. ინტერვიუთი დგინდება, რომ საგანმანათლებლო-განმავითარებელი რესურსებისთვის გამოყოფილი თანხები გაერთიანებულია პუქტში ,,საქონელი და მომსახურეობა“. თუმცა, ამ პუნქტს არ აქვს ქვეპუნქტები, რომლებიც ნათლად მიუთითებს ბიუჯეტიდან რა თანხაა გამოყოფილი კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საჭირო რესურსების შეძენაზე. ადგილზე ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა გაერთიანების დირექტორის ბრძანება ( N128/1 ; 30/06/2024) მინიმალური საგანმანათლებლო რესურსებს დამტკიცების შესახებ. სადაც მოცემულია სოფელ ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბაღის 2024 წლისთვის გამოყოფილი რესურსების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებს, მათ შორის სხვადასხვა ცენტრებისთვის საჭირო მასალებსა და აღჭურვილობას. წარმოდგენილია შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებიც. იმის გამო, რომ ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება წარმოადგენ წინაპირობას საგანმანათლებლო რესურსების დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანების შესასრულებლად და ბიუჯეტში შესაბამისი თანხა არ არის გამოყოფილი, ვერ დგინდება ერთიანი თანხის რა ნაწილის გამოყენებას შეძლებს ბაღი კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.
**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ბიუჯეტში ფინანსური რესურსების ისეთი განაწილობა, რომ ნათლად ჩანდეს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საჭირო რესურსების შეძენა.

### რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................................

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (1. უზრუნველყოფილი იქნას დაწესებულების დონეზე გამოყოფილი, მიზნობრივი ბიუჯეტის წარმოდგენა, რომელიც მკაფიოდ ასახავს საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყოფილ**

**ფინანსურ რესურსებს კონკრეტულად ბაღისთვის; 2. ბიუჯეტის ფორმა შედგეს ისეთი კომპონენტებისაგან რომ შესაძლებელი იყოს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების შესაბამისი ფინანასური რესურსის ამოცნობა.); პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; გაერთიანების ბუღალტერი) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით**

### 3.დაწესებულებას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა*

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. ბუღალტერთან ინტერვიუთი დგინდება, რომ გაერთიანება ყოველ წელს შეიმუშავებს ბიუჯეტს, რომელიც ეყრდნობა წინა წლის ბიუჯეტის ანალიზს, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. საჭიროების შემთხვევაში, დირექტორს შეაქვს ცვლილება და წერილობით მიმართავს დამფუძნებელს თანხის დამატების თხოვნით. შესაძლებლობის ფარგლებში ხდება ბიუჯეტში ცვლილება და თანხის დამატება. დაზუსტებული ბიუჯეტის პროექტი წარედგინება დამფუძნებელს დასამტკიცებლად. ყოველი წლის ბოლოს ა(ა)ი.პ. ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორი, თიანეთის მერის სახელზე ამზადებს გაწეული სამუშაოს შესახებ წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ასახულია დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის ანალიზი.
**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დამკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია
დაწესებულებამ შეიმუშაოს საკუთარი ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, რომელი დაეფუძნება ხარისხის ციკლს და მოიცავდეს დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგის და შეფასების ეტაპებს.

რჩევა
......................................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (1. შემუშავდეს ფინანსური რესურსის მართვის სისტემის შესაბამისი დოკუმენტი. 2. გამოიცეს შესაბამისი ბრძანება); პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; გაერთიანების ბუღალტერი) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 01.10.2024 წლის N210/1 ბრძანებით დამტკიცებული – ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაგა–ბაღების 2024–2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
2. ა(ა)იპ.თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების ბიუჯეტი
3. ა.(ა).ი.პ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების" გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 17 ოქტომბრის N 226 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი"
4. ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანება ( N128/1 ; 30/06/2024) მინიმალური საგანმანათლებლო რესურსებს დამტკიცების შესახებ.
5.ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის წლიური ანგარიში
6. ინტერვიუს შედეგები
7. ქებოტას შესაბამისობის გეგმა

| შეფასება: |
| --- |
| **4.7 ფინანსური რესურსი** |

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | | | |
|---|---|---|---|
| შესაბამება ☐ | მეტწილად შესაბამება ☒ | ნაწილობრივ შესაბამება ☐ | არ შესაბამება ☐ |

# ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

| 1. სავალდებულო დანართის დასახელება | |
|---|---|
| ვიზიტის დღის წესრიგი | |
| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| დანართის N | 2. სხვა დანართის დასახელება |
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |

**თარიღი** 23/10/2025

| **ხელმომწერი** | **სახელი გვარი** | **ხელმოწერა** |
|---|---|---|
| **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე** | | |
| *ხარისხის ექსპერტი* | მაკა ტუკავძე | Maka Tukvadze 01019028119 Digitally signed by Maka Tukvadze Date: 2025.10.23 17:06:56 |

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

| | |
|---|---|
| *კურიკულუმის ექსპერტი:* | ხათუნა წერეთელი |
| *კვების დარგში ექსპერტი:* | მარინე ზაზაშვილი |
| *სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:* | მანანა ჭიჭინაძე |

**4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი**

დანართი №1

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: ა(ა)ი.პ ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება"<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): ა(ა)ი.პ ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებ"-ის სოფელ ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბაღი | ბრძანების N: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება-MES 3 25 0000578740   27/05/2025 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: თიანეთის მუნიციპალიტეტი სოფელი, ჟებოტა<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: 19 და 20 ივნისი |

კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

| N | ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | 1.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან<br>2. შენობის აზომვითი ნახაზი<br>3. სოფელ ჟებოტას საბავშვო ბაგა-ბაღი შესაბამისობის გეგმა<br>4.ვიზუალური დათვალიერება<br>5. ინვენტარიზაციის აქტი 2/1; 04/11/2024<br>6. მიღება ჩაბარების აქტები და სასაქონლო ზედნადებები<br>7.ა.(ა).ი.პ. თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 12.01.2024 წლის N7 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი" |
| 2 | დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |
| 3 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1** | **დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით;** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ა(ა)ი.პ ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების" სოფელ ჟებოტის საბავშვო ბაგა-ბაღმა წარმოაგდონა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს, რომ თიანეთის მუნიციპალიტეტის ჟებოტის ადმნისტრაციულ ერთეული კვარტალი 24; ნაკვეთი155. 4728 კვ.მ დაზუსტებულ ფართზე განთავსებულია შენობა ნაგებობა ( N1-757.89 კვ.მ), რომლის საკადასტრო კოდია 73.06. 24. 155 უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ა(ა)ი.პ ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება"-ს არსებობის ვადით. სტატუსის მაძიებელმ,ა ასევე წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სქემა. დაწესებულებას არა აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ). აღნიშნულთან მიმართებით წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა. გეგმის თანახმად დაწესებულება 15.04.2026 -მდე უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტის მოპოვებას. დასწესებულებას არა აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან. | დაწესებულებამ უზრნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ დასკვნის მოპოვება, რომელიც გაცემული იქნება აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ასევე, წარმოადგინოს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას (1. შესაბამისი დასკვნების/მიწერიოლობის მომზადება); პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული (გაერთიანების დირექტორი), საჭირო რესურსი (გაერთიანების დირექტორი; გაერთიანების საქმეთამმართველი) და ხარვეზის გამოსწორების 12 თვიანი პერიოდი. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილ შესაბამისობით |
| | დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| **2** | **დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს** | | | | | | | | |
| 2.1. | დაწესებულებას აქვს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ნებართვა გაიცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.2.** | **მოთხოვნები დაწესებულების შენობა-ნაგებობის მიმართ** | | | | | | | | |
| | დაწესებულება განთავსებულია პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ბაღის შენობა ორსართულიანია, სადაც პირველ სართულზე განთავსებულია 2-3-4 წლიანების ჯგუფური ოთახი საძინებლით და სანიტარული კვანძით, ხოლო მე-2 სართულზეა 4-5-6 წლიანების ჯგუფური ოთახი სანიტარული კვანძით. | | | |
| | ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ ან/და მეორე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია:** | | | | | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღია სარეკრეაციო სივრცეები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასკოლო მზაობის ჯგუფ(ებ)ი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე სასკოლო მზაობის ჯგუფების განთავსების შემთხვევაში:** | | | | | | | | |
| | ამავე სართულზე განთავსებულია სანიტარული კვანძ(ებ)ი ბავშვებისათვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მესამე სართულის კიბის უჯრედს კიბის დასაწყისში აქვს დამცავი ბარიერი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2.3.** | **დაწესებულებაში, შიდა და გარე ტერიტორიაზე, განთავსებულია შემდეგი სავალდებულო სივრცეები:** | | | | | | | | |
